

186
1984

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმართმცემლობა



საქართველოს სსრ მთავრობის
ღარგენიღებუთა კრებუდი

№ 2

მარტი — აპრილი

1984 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი—აპრილი

1984 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

15. საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი საკითხის შესახებ
16. სკვბ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 1129 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
17. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 და 1973 წლის 2 ოქტომბრის № 611 დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

18. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
19. საქართველოს სსრ ბე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ზელფასის შედგენილები-ნაშთობრივი ფონდის სახით შრომის ანაზღაურების ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

ს.ი. სსრ კ. მარქოსი
ს.ხ. ს.ხ. რეპოზ.
ბ. გლ. ო. თ. ე.

17.876

20. საქართველოს სსრ მსუბუქი შრეწველობის სამინისტროს ტყავფეხსაცმლის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების (საქტყავფეხსაცმელმრეწვი) შექმნის შესახებ
21. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 ნოემბრის № 651 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ
23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ
24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილების მე-2 პუნქტის დამატების შესახებ
25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის № 808 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ
26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 დეკემბრის № 862 დადგენილების მე-5 პუნქტში დამატებათა შეტანის შესახებ
27. „იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილების დანართის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დამატების თაობაზე
28. საცხოვრებელი სახლების სარდაფებში ბოსტნეულის შესანახად საყუვნაოების მოწყობის შესახებ
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 619 დადგენილებით დამტკიცებულ არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღმზრდელის დებულებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ
30. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების დებულების დამტკიცების შესახებ
31. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 7 მარტის № 228 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართვე- ლოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

15 საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წარ- მოების მართვის უმჯობესი სრულყოფის ზოგადი საკითხის შისახვა

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) ავროკომპლექსის მართვა, აღმოიფხვრას პარალელურად სოფლის მეურნეობის მომსახურებაში და ადგილობრივი სამსახურების ორგანიზაციული და მმართველობის სტრუქტურები შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურას, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს კვ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ შეიქმნას:

— აფხაზეთის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის და აფხაზეთის ასსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე;

— აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის და აჭარის ასსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე;

— სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამმართველო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის გაერთიანების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს ბაზაზე.

2. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა:

— მიიღონ დადგენილი წესით გადაწყვეტილებანი ზემოაღნიშნულ საკითხებზე და შეიტანონ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოებისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს დასამტკიცებლად შესაბამისი წინადადებანი;

— შეიმუშაონ და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტ-



თან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით ერთი თვის ვადაში დაამტკიცონ ახალშექმნილ სამეურნეო ორგანოთა დებულებანი, სტრუქტურა და საშტატო რიცხოვნობა;

— გაითვალისწინონ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამმართველოს აპარატების სტრუქტურებში ახალ პირობებში სოფლის მეურნეობისადმი ეფექტიანი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის საჭირო ქვედანაყოფები და სამსახურები, ამასთან უზრუნველყონ პარალელურად მოქმედ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ლიკვიდაცია ან გაერთიანება;

— შეიმუშაონ და დაამტკიცონ სამი თვის ვადაში დადგენილი წესით დებულებანი ახალშექმნილ და გარდაქმნილ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შესახებ.

3. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 17 თებერვლის № 152 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ რესპუბლიკის რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის აპარატის სტრუქტურა შეესაბამებოდეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურას, დადგენილი წესით გაუქმდეს სოფლტექნიკის რაიონული საწარმოო გაერთიანებანი და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოები.

4. სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეიმუშაონ კონკრეტული პირობების გათვალისწინებით აგროსამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის აპარატების სტრუქტურები და უზრუნველყონ მათი დამტკიცება დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

5. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ორი კვირის ვადაში დაამთავროს სოფლტექნიკის რაიონულ გაერთიანებათა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოთა გაუქმებასთან დაკავშირებით შესაქმნელ ახალ ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ფორმირება რაიონულ რგოლში მმართველობის აპარატის რიცხოვნობისა და ზღვრულ ასივნებათა გაუღიღებლად.

6. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა შეუთანხმოს შესაბამის საკავშირო ორგანოებს დებულებათა პროექტები სახელმწიფო გაერთიანებების აპარატის მუშაკთა, აგრეთვე ახალშექმნილი და გარდაქმნილი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა პრემირების შესახებ, რომლებისთვისაც შემუშავებული არაა შესაბამისი დებულებანი.

7. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალ-

ხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამმართველოს აპარატების შენახვის ხარჯები გაწეულ იქნეს საბიუჯეტო ასიგნებებიდან და საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ ზემოაღნიშნული კომიტეტებისა და სამმართველოს აპარატების შესანახად გადარიცხული სახსრებიდან. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 დეკემბრის № 893 დადგენილების № 2 დანართით გათვალისწინებულ 26 რაიონში რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა მმართველობის აპარატების შენახვის ხარჯები გაწეულ იქნეს საბიუჯეტო ასიგნებებიდან და გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გადარიცხული სახსრებიდან, ხოლო დანარჩენ რაიონებში — გაერთიანებაში შემავალ საწარმოთა და ორგანიზაციათა მიერ გადარიცხული სახსრებიდან, აგრეთვე ამ მიზნით კოლმეურნეობების მიერ გამოყოფილი სახსრებიდან.

8. საქართველოს კვ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამმართველომ, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ კომიტეტების, სამმართველოსა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა აპარატების შტატების დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.

9. საქართველოს კვ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს კვ რაიონულმა (საქალაქო) კომიტეტებმა და სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებმა გაგზავნონ რესპუბლიკურ (ასსრ) კომიტეტებში, საოლქო სამმართველოსა და რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ მაღალკვალიფიციური მუშაკები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების უნარიანმა ორგანიზატორებმა.

10. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა:

— სამუშაოზე მოაწყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა გაუქმებასთან დაკავშირებით განთავისუფლებული მუშაკები მოქმედი შრომის კანონმდებლობის შესაბამისად;

— წარმოადგინოს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ 1984 წლის 1 ივლისისათვის.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი

ე. შივარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე
ნ. ზითანაძე.



16 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 1129 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 1129 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-5 პუნქტის მესამე აბზაცი და მე-7 პუნქტის პირველი აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 მარტის № 183 დადგენილებისა „გახანგრძლივებულდღიანი სკოლების მოწყობის შესახებ“ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეღავათების ხაწილში;

— მე-16 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 აპრილის № 302 დადგენილებისა „საქართველოს სსრ საშუალო სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-9 პუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 ივნისის № 444 დადგენილებისა „რესპუბლიკაში ლობიოს წარმოებისა და შესყიდვის სტიმულირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 1129 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-7 პუნქტის მეხუთე აბზაცი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 იანვრის № 27 დადგენილებისა „მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 აპრილის № 299 დადგენილებით.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი.

17 საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 და 1973 წლის 2 ოქტომბრის № 611 დადგენილებათა ძალადაპარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 დადგენილება „საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 ივლისის № 405 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

2. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ოქტომბრის № 611 დადგენილება „საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 27 აპრილის № 236 დადგენილებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს კვ

ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ე. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

დ. ქართველიშვილი.

ქ. თბილისი, 1984 წ. 24 აპრილი, № 281

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

18 საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 28 ნოემბრის № 695 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კიდული საბაგირო გზების განვითარებისა და ექსპლუატაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 5 მარტი, № 121

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 1984 წლის 5 მარტის № 121 დადგე-
 ნილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი (საქსახსპეტრანსი) არის რესპუბლიკური კომიტეტი და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განახორციელოს ერთიანი შემკვეთისა და მთავარი ორგანიზაციის ფუნქციები უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის (კიდული ბაგირგზები, მონორელსიანი, კონვეიერული, მილსადენი პნევმატური და ჰიდრაულიკური) და მისი ტექნოლოგიური პროცესების (ტრანსპორტირება, დატვირთვა, გადმოტვირთვა) ავტომატიზაციის სისტემების შექმნისა და დანერგვის სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო, საპროექტო-საძიებო, სამშენებლო-სამონტაჟო, გასაშვებ-გასამართავ სამუშაოთა კომპლექსური შესრულების მიზნით მოქმედ, მშენებარე და სარეკონსტრუქციო ობიექტებში რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე ამ სახეობათა ტრანსპორტის ტექნიკური ექსპლუატაციის და მათი მომსახურებისათვის კადრების მომზადების ხაზით;

— შეასრულოს ზემოაღნიშნული ფუნქციები და სამუშაოები ქვეყნის მასშტაბით სპეციალური სატვირთო-სამგზავრო და სატვირთო კიდული ბაგირგზებისა და მონორელსიანი ტრანსპორტის შექმნისა და დანერგვის დარგში, აგრეთვე დაამზადოს სოფლის მეურნეობისათვის სპეციალური სატვირთო და სატვირთო-სამგზავრო კიდული ბაგირგზების მოწყობილობა და ლითონკონსტრუქციები სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 27 სექტემბრის № 896 დადგენილების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 20 იანვრის, № 76 დადგენილების შესაბამისად;

— განახორციელოს ზემოაღნიშნულ უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის სამშენებლო სამუშაოები როგორც ერთიანმა შემკვეთმა შესაბამის სამშენებლო ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ძალებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

— ორგანიზაცია გაუწიოს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, უზრუნველყოს მათი მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია, აამალოს მოწყობილობის ტექნიკური დონე და მწარმოებლობა, აგრეთვე გააუმჯობესოს შენობა-ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლუატაციო მდგომარეობა;

— განახორციელოს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე დაგეგმვა, შეიმუშაოს ღონისძიებანი სახალხო მეურნეობაში მათი უფრო ფართოდ გამოყენებისათვის;

— დანერგოს მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, უზრუნველყოს წარმოების მაღალი ტექნიკური და ეკონომიკური დონე;

— რაციონალურად გამოიყენოს სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი, შეამციროს მშენებლობის ვადები, აითვისოს საწარმოო სიმძლავრეები და ძირითადი ფონდები;

— უზრუნველყოს უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის საქვეუწყებო ობიექტების უსაფრთხო ექსპლუატაცია, დროულად განახორციელოს პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოები;

— დანერგოს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაცია, უზრუნველყოს კომიტეტის სისტემის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები კვალიფიციური კადრებით;

— შექმნას და დანერგოს ტექნოლოგიური პროცესების, წარმოებისა და უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის თითოეული ქვედარგის მართვის ავტომატიზებული სისტემები გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებისა და ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით;

— გააუმჯობესოს კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

3. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს მისთვის დაკისრებულ საგეგმო სამუშაოებს უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტისა და მათი ავტომატიზაციის სისტემების საცდელი ნიმუშების კვლევის, კონსტრუირების, დამზადების, დაპროექტების, კაპიტალური მშენებლობის (რეკონსტრუქციის), რემონტისა და ტექნიკური ექსპლუატაციის დარგში სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ხარჯზე, რომლებიც საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმით ცენტრალიზებულად გამოეყოფა მას ცალკე სტრიქონად („უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტი“), რესპუბლიკის დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა სახსრების ხარჯზე, აგრეთვე პირდაპირი ხელშეკრულებებით.

4. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი, მისი საქვეუწყებო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები შეადგენენ აღნიშნული კომიტეტის სისტემას.

თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტაქტებსა და საქმიან თანამშრომლობას სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან დარგთაშორისი საკითხების შესამუშავებლად და გადასაწყვეტად.

5. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

6. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს კონტროლს თავისი სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და მისდამი ყაირათიანი დამოკიდებულების უზრუნველყოფის მიზნით.

7. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს თავის საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კომიტეტისათვის დამტკიცებული მუშაკთა რიცხოვნობისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში, ამტკიცებს კომიტეტის საწარმოთა წესდებებს და ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დებულებებს.

8. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად დაგეგმვისა და წარმოების დარგში:

ა) სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროების წინადადებათა და მონაცემების საფუძველზე შეისწავლის მოთხოვნილებას ქვეყნის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის სპეციალურ სატვირთო და სატვირთო-სამგზავრო კიდულ ბაგირაგებსა და მონორელსიან ტრანსპორტზე და შეიმუშავებს მათი განვითარების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

ბ) საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დებუტატთა საბჭოების აღმასკომების წინადადებათა და მონაცემების საფუძველზე შეისწავლის მოთხოვნილებას უწყვეტ სახეობათა სპეციალურ ტრანსპორტზე;

გ) განაზოგადებს და წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტით ტვირთზიდვის წლიურ, ხუთწლიან და პერსპექტიულ გეგმებს მათი მფლობელი რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების მიერ დადგენილი წესით წარდგენილი მონაცემების საფუძველზე;

დ) განსაზღვრავს, სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებიდან გამომდინარე, და დაუგზავნის კომიტეტის სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს სამეცნიერო და საწარმოო საქმიანობის პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს;

შეიმუშავებს სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრების და თავისი სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ

წარდგენილი გეგმების პროექტების (მათ შორის მგზავრთა გადაყვანისა) საფუძველზე კომიტეტის სისტემის მიხედვით პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს;

ე) დაუმტკიცებს კომიტეტის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საწარმოო და საფინანსო გეგმებს;

ვ) საჭირო შემთხვევებში შეუცვლის დადგენილი წესით თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს საცდელი ნიმუშების კვლევის, კონსტრუირების, დამზადების, დაპროექტების, კაპიტალური მშენებლობის დავალებებსა და სხვა მაჩვენებლებს კომიტეტისათვის დაწესებულ საგეგმო დავალებათა ფარგლებში;

ზ) მიიღებს ზომებს დაწესებული გეგმების შესრულების უზრუნველსაყოფად კომიტეტის სისტემის ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

თ) წარადგენს დასამტკიცებლად მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად პროდუქციის და სპეციალური ტრანსპორტით, მისი ავტომატიზაციის საშუალებებითა და სისტემებით მომსახურების ფასებსა და ტარიფებს, კონტროლს გაუწევს მათი გამოყენების სისწორეს;

ი) მოაწუბს პირველადს აღრიცხვას კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღებს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს ღონისძიებებს სააღრიცხვო სამუშაოთა ცენტრალიზაციისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების დანერგვისათვის;

კ) საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა სამინისტროებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნისა და განვითარების ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

9. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად მეცხიერებისა და ტექნიკის დარგში:

ა) განახორციელებს სისტემატურ მუშაობას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების გზების განსაზღვრისათვის და უზრუნველყოფს სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა საფუძველზე უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის განვითარების მაღალ ტექნიკურ-ეკონომიკურ დონეს;

ბ) შეიძუშავებს სამეცნიერო-ტექნიკურ პრობლემებს დარგში მეცნიერული ძიებიდან მიღებული შედეგების წარმოებაში დანერგვამდე, აგრეთვე შეასრულებს კომპლექსური დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სამუშაოებს;

გ) უხელმძღვანელებს საქვეუწყებო სამეცნიერო-კვლევით, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საძიებო და ტექნოლოგიურ ორგანიზაციათა საქმიანო-



ბას, უზრუნველყოფს მათ საჭირო ექსპერიმენტულ-საწარმოო ბაზით, რომელიც თანამედროვე დონეს შეესაბამება;

დ) შეიმუშავებს და წარადგენს დასამტკიცებლად სახელმწიფო სტანდარტების პროექტებს, უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტების, პროდუქციის ხარისხის გაზომვისა და გამოცდის თანამედროვე საშუალებათა და მეთოდების დანერგვას; უზრუნველყოფს გამოთვლითი ტექნიკის არსებულ საშუალებათა რაციონალურ გამოყენებას; დაამტკიცებს დარგობრივი მნიშვნელობის ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტაციას ცალკეულ სახეობათა პროდუქციაზე, რომელსაც არა აქვს სახელმწიფო სტანდარტები;

ე) ორგანიზაციას გაუწევს სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას, უზრუნველყოფს დარგის სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის მომზადებასა და გამოცემას დადგენილი წესით;

ვ) უხელმძღვანელებს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, უზრუნველყოფს გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას;

ზ) უზრუნველყოფს სამამულო და უცხოური საპატენტო მასალების შესწავლასა და გამოყენებას;

თ) მოაწყობს და მიიღებს მონაწილეობას დადგენილი წესით რესპუბლიკური და საკავშირო გამოფენების, თათბირების, კონფერენციების, სემინარებისა და კურსების მუშაობაში;

ი) უზრუნველყოფს უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის ავტომატიზებული მართვის სისტემების შემუშავებასა და დანერგვას.

10. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ა) უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიან გამოყენებას, დარგის პროგრესულ წარმოებათა უპირატეს განვითარებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას საწარმოო და საექსპლუატაციო ბაზების შესაქმნელად და უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის მოქმედი ობიექტების ტექნიკური კვლავადტურვისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამოქმედებელ მშენებლობებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირებას;

ბ) შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობათა სატიტულო სიებს, აგრეთვე მომავალი წლების მშენებლობისათვის საპროექტო-საძიებო სამუშაოთა სატიტულო სიებს;

— უზრუნველყოფს საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავებას, დამტკიცებასა და მშენებლობებისათვის მიცემას;

— კონტროლს გაუწევს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე განახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას სამშენებ-

ლო-სამონტაჟო სამუშაოთა და მშენებარე ობიექტებისათვის მიწოდებული მოწყობილობის ხარისხისადმი, მოაწვობს საავტორო ზედამხედველობას მშენებლობისადმი;

გ) დადგენილი წესით საქვეუწყებო სპეციალიზებულ ორგანიზაციათა მეშვეობით დაუდებს დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებს ხელშეკრულებებს უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის ობიექტების შექმნისა და დანერგვის, აგრეთვე რეკონსტრუქციის სამუშაოთა კომპლექსის შესასრულებლად;

დ) შეასრულებს დაპროექტებისა და მშენებლობის, მოწყობილობით, მასალებითა და ნაკეთობებით მშენებლობათა მომარაგების ერთიანი შემკვეთის ფუნქციებს;

ე) დანიშნავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფო კომისიებს და მონაწილეობას მიიღებს მშენებლობადამთავრებული საწარმოებისა და შენობა-ნაგებობების საექსპლუატაციოდ მიმღები საუწყებათაშორისო კომისიების მუშაობაში, დაამტკიცებს მათი მიღების აქტებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს კრებისთ სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებათა დახურვის შესახებ;

ვ) მონაწილეობას მიიღებს უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების შემრჩევ კომისიებში, წარუდგენს საჭიროების კვალობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის წინადადებას მიწის ნაკვეთების გამოყოფის შესახებ;

ზ) შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებლად და სხვა ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან და საწარმოებთან ერთად წილობრივი მონაწილეობის წესით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, კომუნალური მეურნეობის ობიექტების, სამედიცინო და საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, პიონერბანაკებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობა და გაფართოება ამ მიზნით გეგმის შესაბამისად კომიტეტისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

11. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

ა) განსაზღვრავს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოთხოვნილებას ნედლეულზე, სათბობზე, მოწყობილობასა და სხვა მატერიალურ რესურსებზე; განაგებს კომიტეტისათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხს აგებს ამ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

ბ) კონტროლს გაუწევს ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების ფონდების რეალიზაციას, აგრეთვე კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ხელშეკრულებათა დროულად დადებას საწარმო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის, სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების თაობაზე და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

გ) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების სწორად შენახვასა და გამოყენებას და მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის.

12. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

ა) განახორციელებს ღონისძიებებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების და კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა დაგროვების გადიდების, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანი გამოყენების მიზნით;

დააფინანსებს დადგენილი წესით თავისი სისტემის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს და ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენარჩუნებას, დროულ ანგარიშსწორებას მუშა-მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებელთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის, კაპიტალური რემონტის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის განკუთვნილი საკუთარი სახსრების გადარიცხვას;

გ) ორგანიზაციას გაუწევს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას კომიტეტის სისტემაში, უზრუნველყოფს საუწყებო კონტროლის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რევიზიების რეგულარულად ჩატარებას, ეკონომიკის მდგომარეობის ყოველმხრივ ანალიზს, ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა-შენარჩუნების შემოწმებას, ეკონომიის რევიზის დაცვას, განახორციელებს კონტროლს კომიტეტის სისტემაში აღრიცხვა-ანგარიშგების სწორად წარმოებისა და უტყუარობისადმი, აგრეთვე ღონისძიებებს სახელმწიფო ქონების დაცვის უზრუნველსაყოფად და მიყენებული მატერიალური ზარალის გადასახდევინებლად.

13. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

ა) განახორციელებს კომიტეტის ნომენკლატურაში შემავალი ხელმძღვანელი კადრების შერჩევასა და განაწილებას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს კომიტეტის სისტემის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასაწინაურებელი კადრების რეზერვის შესაქმნელად და მოსამზადებლად, განსაზღვრავს კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიმდინარე და პერსპექტიულ მოთხოვნილებას მეცნიერ მუშაკებზე, უმაღლესი და საშუალო სპეცია-

ლფრი განათლების სპეციალისტებზე და კვალიფიციურ მუშებზე, მიიღებს ზომებს ახალგაზრდა სპეციალისტთა რაციონალური გამოყენებისათვის, მოაწყობს და ჩაატარებს უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სტაჟირებას, გამოუყოფს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს სამუშაო ადგილებსა და თანამდებობებს საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს სტუდენტთა და მოსწავლეთა მიერ დასაკავებლად, ორგანიზაციას გაუწევს დადგენილი წესით თავის სპეციალისტთა სწავლებას ასპირანტურაში; განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მუდმივი კადრების შექმნა კომიტეტის სისტემაში;

ბ) სრულყოფს თავის სტრუქტურას, ამასთან მიიღწევს მმართველობის ხარჯების შემცირებას კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ;

გ) დადგენილი წესით ეტაპობრივ განახორციელებს მუშაკთა ხელფასის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებებს იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მათი მატერიალური დაინტერესება როგორც პირადი შრომის შედეგებით, ისევე მთლიანად კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობის საერთო შედეგებით, ამასთან მიიღწევს სწორ თანაფარდობას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის, უზრუნველყოფს ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას, აგრეთვე დროულად ანგარიშსწორებას კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებთან;

დ) პროფკავშირის კომიტეტთან ერთად მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, დაამტკიცებს კომიტეტის სისტემაში შეჯიბრების პირობებს, დააწესებს დადგენილი წესით პრიზებსა და ფულად პრემიებს.

მუშაობაში მოპოვებული მიღწევებისა და ინიციატივის გამოჩენისათვის კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკები წახალისდებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კომიტეტის სისტემის მოწინავე მუშაკები დაჯილდოვდებიან სამკერდე ნიშნებითა და საპატიო სიგელებით.

14. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დარგში:

ა) დადგენილი წესით მოამზადებს და წარუდგენს რესპუბლიკის მთავრობას წინადადებებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ;

ბ) დადგენილი წესით მოაწყობს და მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო სემინარების, სიმპოზიუმების, კონფერენციებისა და გამოფენების მუშაობაში უწყვეტ სახეობათა სპეციალური ტრანსპორტის, აგრეთვე მისი ავტომატიზაციის სისტემების სრულყოფისა და განვითარების საკითხებზე.

15. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი თავის მუშაობას წარმართავს

დარგისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლეგიურობისა და ერთმმართველობის პრინციპების შეხამების საფუძველზე, ამასთან დააწესებს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მინდობილ სამუშაო უბანზე საქმეთა ვითარებისა და განსაზღვრულ დავალებათა შესრულებისათვის.

16. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეთა შორის მოვალეობებს ანაწილებს თავმჯდომარე.

17. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პასუხს აგებს კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის, განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეთა, კომიტეტის ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

18. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

— გამოსცემს კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე და შესასრულებლად;

— გასცემს კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და დაწესებულებების მიერ შესრულებისათვის სავალდებულო მითითებებს და ორგანიზაციას გაუწევს მათი შესრულების შემოწმებას;

— საკითხებზე, რომლებიც მთავრობის გადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის დადგენილებათა, განკარგულებათა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტებს;

— საჭირო შემთხვევებში გამოსცემს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

19. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სახელმწიფო კომიტეტში იქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), თავმჯდომარის მოადგილეები, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

20. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია რეგულარულად მოწ-

ვეულ სხდომებზე განიხილავს კიდული ბაგირგზებისა და სხვა სახეობათა უწყვეტი სპეციალური ტრანსპორტის, აგრეთვე მათი ავტომატიზაციის სისტემების განვითარების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ზელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, მოისმენს კომიტეტის მთავარ სამმართველოთა, სამმართველოთა და განყოფილებათა, კომიტეტის სისტემის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, თავმჯდომარის ბრძანებებით კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიის წევრთა შორის უთანხმოების შემთხვევაში თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

21. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა, მთლიანად დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევით, საცდელ-საკონსტრუქტორო და საპროექტო-სამიებო სამუშაოთა (ეტაპების) განსახილველად, სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების დარგში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განსახილველად, სამამულო და საზღვარგარეთული მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და მოწინავე გამოცდილების გამოყენებისა და წარმოებაში დანერგვის თაობაზე რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო მეცნიერთა, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობასა და დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

22. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურასა და მუშაკთა რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე მთავარ სამმართველოთა, სამმართველოთა და განყოფილებათა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

23. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტი მოიწვევს დადგენილი წესით აქტივის თათბირებს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მონაწილეობით, რომ-

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

ლებზეც მოისმენენ და განიხილვენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებს, დარგის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, აგრეთვე კომიტეტის, მისი საქვეუწყებო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

24. საქართველოს სსრ სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ავტომატიზაციის სისტემების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

19 საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის გარეგანი ავიაჯის კომბინატში ხელფასის შედგომობრივ-ნაშთობრივი ფონდის სახით შრომის ანაზღაურების ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე მისი ზემოქმედების და საბოლოო სამეურნეოსაფინანსო შედეგებისათვის კოლექტივის პასუხისმგებლობის გაძლიერების საქმეში საწარმოს უფლებათა გაფართოების მიზნით და „სამეურნეო ორგანიზაციებთან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფისა და შემოსავალ-გასავალს შორის შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდის სახით შრომის ანაზღაურების ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ“ საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 26 აპრილის № 303 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საეკგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან, და დამტკიცდეს დროებითი დებულება საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ხელფასის შედეგობრივ-ნაშთობრივი ფონდის სახით შრომის ანაზღაურების ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ.

აღნიშნული ექსპერიმენტი განხორციელდეს 1984 წლის 1 იანვრიდან.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი პრეწველობის სამინისტროს ექსპერიმენტის წესით:

— დაუმტკიცოს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატს დამტკიცებულ დროებითი დებულებით გათვალისწინებული ფონდების შექმნის ნორმატივები;

— შემოიღოს კომბინატის ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების სისტემა წარმოების საბოლოო შედეგების შესაბამისად გარანტირებული ანაზღაურების გარეშე;

— გააძლიეროს მატერიალური პასუხისმგებლობა მუშაკის მიერ მიყენებული ზარალისათვის, მოახდინოს ზარალის ანაზღაურება თვიური სარგოს (თვიური სატარიფო განაკვეთის) არა უმეტეს ერთი მესამედის ოდენობით.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ:

— გაუწიოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დახმარება თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენებისა და მმართველობის სტრუქტურის სრულყოფის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

— უზრუნველყოს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატთან ერთად წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების ნორმატიული მეთოდის, აღრიცხვის საყურნალო-საორდერო ფორმის, წარმოების რეზერვების სისტემის გარეშე აღრიცხვის სპეციალური ფორმების, მოგების გეგმის შესრულებისადმი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ამ პროცესთა ოპერატიული მართვისადმი ეფექტიანი წინაშვრები კონტროლის დანერგვა;

— შეიმუშაოს საერთო შემოსავლის ზრდის საფუძველზე განსაზღვრული ხელფასის მაქსიმალურად შესაძლებელი ფონდის შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპთან დაკავშირების მეთოდიკა.

4. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა გაუწიოს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატს დახმარება ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებაში, გააანალიზოს და განაზოგადოს მისი შედეგები გამოცდილების გავრცელების მიზნით.

გაწეული მუშაობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის პირველ კვარტალში.

5. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს კონტროლი ეკონომიკური ექსპერიმენტის პირობებში სახელშეკრულებო ფასების დადგენის ახალი წესის გამოყენებისადმი, გაუწიოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს პრაქტიკული დახმარება ოპერატიული წესით ფასების დამტკიცებაში თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატის მიერ გამოშვებული პროდუქციის ასორტიმენტის მოქნილი შეცვლის მიზნით.

6. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტთან, საქართველოს

სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს მუშაობის ახალ პირობებში თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ხელფასის ფონდის ხარჯვისადმი კონტროლის წესი და შეუთანხმოს იგი სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობას.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგვეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს რესპუბლიკურმა სამმართველომ, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ და საქართველოს სსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ გაუწიონ საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს საჭირო დახმარება ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებაში.

8. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას „საქავეჯ-პროექტს“ თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებისათვის საჭირო ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავების მიზნით მიიღოს 1984-1985 წლების განმავლობაში შეთავსებით სამუშაოზე სპეციალისტები 4 საშტატო ერთეულის რაოდენობით დამტკიცებული შრომის ლიმიტის ფარგლებში.

9. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ ექსპერიმენტის განხორციელების შედეგებისა და დარგში მისი შემდგომი გავრცელების მიზანშეწონილობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის პირველ კვარტალში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **დ. ჰართიველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

დამტკიცებულია
 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის
 6 მარტის № 126 დადგენილებით

დროებითი დებულება

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში მუშაობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებისა და ხელფასის შედეგობრივ-ნაშთობრივი ფონდის ფორმირების საფუძველზე კოლექტივის სტიმულირების ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის თაობაზე პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს დაგეგმვის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებას, რომლებიც მიზნად ისახავენ საწარმოო გაერთიანებათა (საწარმოთა) კოლექტივების პასუხისმგებლობის გაძლიერებას მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის და ამავე დროს მათი უფლებების გაფართოებას.

გათვალისწინებს რა ეს, საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავიანთი 1983 წლის 26 აპრილის № 303 დადგენილებით „სამეურნეო ორგანიზაციებთან სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფისა და შემოსავალ-გასავალს შორის შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდის სახით შრომის ანაზღაურების ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ“ მოიწონეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის, საქართველოს კპ თბილისის საქარხნო რაიკომის და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ინიციატივა თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების თაობაზე.

ამ ეკონომიკური ექსპერიმენტის ძირითადი პრინციპები შემუშავებულია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის არსებული გამოცდილების გათვალისწინებით.

2. ეს დებულება განსაზღვრავს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს თბილისის გრეხილი ავეჯის კომბინატში (შემდგომ საწარმოდ წოდებული) ხელფასის შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდის საფუძველზე შრომის ანაზღაურების სახით კოლექტივის სტიმულირების ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელების წესს მისი აპრობაციისა და შემდგომ დარგში გავრცელების მიზნით.

3. ეკონომიკურ ექსპერიმენტს საფუძვლად დაედო საწარმოს უფლებათა გაფართოების და შრომითი კოლექტივებისათვის მიჩენილ წარმოების საშუა-

ლებათა უკეთ გამოყენების შედეგებზე მშრომელთა შემოსავლის პირდაპირი დამოკიდებულების უზრუნველყოფის პრინციპები.

4. დებულება ითვალისწინებს მაჩვენებლების შეზღუდულ რაოდენობას: ხუთწლიანი და წლიური გეგმების შედგენისას ამ გეგმების შემუშავებაში საწარმოს პასუხისმგებლობის გაძლიერებისა და ნაკლები შრომითი, მატერიალური და ფინანსური დანახარჯებით საგეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფის მიზნით.

5. კოლექტივის ყოველი ცალკეული წევრის ეფექტიანი საქმიანობა და მთლიანად კოლექტივის ორგანიზებულობა აყალიბებს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, ეს კი, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ხელფასის ფონდის შედგებობრივ-ნაშთობრივ სიდიდეზე. საწარმოს მიზეზით სახსრების უკმარისობისას მუშებისათვის ხელფასის მიცემა აუცილებლად გარანტირებულია, ხოლო ხელმძღვანელი მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისათვის — არაა გარანტირებული. წარმოებისათვის ზარალის მიყენების გამო მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ ყველა კატეგორიის მუშაკებს.

6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო (შემდგომ სამინისტროდ წოდებული) გაფართოებულ უფლებებს ანიჭებს საწარმოს და ამავე დროს პასუხს აგებს ზარალისათვის, რომელიც მიაყენა საწარმოს თავისი არასწორი მოქმედებით.

II. სამინისტროს უფლება-მოვალეობანი

7. სამინისტრო ხელმძღვანელობს საწარმოს მთელ საქმიანობას და განიხილავს საქართველოს ხე-ტყის, ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად უთანხმოებას, რაც წარმოიშობა ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი მართვის კოლექტიურ ორგანოს შორის.

8. სამინისტრო, მხედველობაში იღებს რა საწარმოს უფლებათა გაფართოებას ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებისას, გამოდის მთავრობის აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანოს სახით, განსაზღვრავს საწარმოს განვითარების პერსპექტივებს და ხელმძღვანელობს მას მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

9. სამინისტრო ამ ეკონომიკური ექსპერიმენტის განხორციელებისას კისრულობს შემდეგ დამატებით უფლება-მოვალეობებს:

— ახორციელებს დარგის მართვის ორგანიზაციულ-საწარმოო სტრუქტურის სრულყოფის ღონისძიებებს;

— უზრუნველყოფს ამ დებულებით განსაზღვრული ეკონომიკური მექანიზმის გამოყენებას;

— უმტკიცებს საწარმოს პროდუქციის სავალდებულო ნომენკლატურასა და ასორტიმენტს, რომელთა მიხედვითაც საწარმოს უფლება არა აქვს უარი თქვას არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა ფარგლებში მიწოდების ხელშეკრულებათა დადებაზე;

— მოქმედებს როგორც დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის შტაბი და ქმნის მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განვითარებისათვის საჭირო პირობებს;

— კისრულობს ქონებრივ პასუხისმგებლობას ზარალისათვის, რომელიც მან მიაყენა საწარმოს თავისი არასწორი მოქმედებით.

კომპენსაცია ზარალისათვის ნაზღაურდება სამინისტროს ფონდებიდან.

საფუძვლებს, რომლებითაც სამინისტროს ეკისრება პასუხისმგებლობა წარმოადგენენ:

— გადიდებულ (დაუსაბუთებელ) სახელმწიფო საგეგმო დავალებათა დამტკიცება;

— ისეთ სახელმწიფო საგეგმო დავალებათა დამტკიცება, რომლებიც უზრუნველყოფილი არაა რესურსების ლიმიტებით, აგრეთვე აღმატება მყიდველთა მოთხოვნილებებს;

— სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შეცვლა, რაც იწვევს მაჩვენებელთა სისტემაში დაწესებული პროპორციების დარღვევას.

III. საწარმო და საზოგადოებრივი მართვის კოლექტიური ორგანოები

10. საწარმო პირველადია მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში. იგი გამოდის როგორც იურიდიული პირი და სოციალისტური საკუთრების, სახელმწიფო საგეგმო დავალებათა და შემხვედრი გეგმის ბაზაზე ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას სრული სამეურნეო ანგარიშის პრინციპების საფუძველზე.

11. საწარმო:

— პასუხს აგებს დამტკიცებულ სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებისათვის;

— მკაცრად იცავს სოციალისტურ კანონიერებას, სახელმწიფო, საგეგმოსაფინანსო და სახელშეკრულებო დისციპლინას;

— აქვს საწესდებო ფონდი, განაგებს და მართავს მის განკარგულებაში გადაცემულ ძირითად საშუალებებსა და საბრუნავ სახსრებს.

12. საწარმო ბუშაობს მეურნეობის გეგმიანი გაძღოლის სამეურნეო ანგარიშის მეთოდით, ამასთან ესწრაფვის დაზოგოს ყოველგვარი ხარჯები (დანახარჯები) და მიიღოს დიდი ეკონომიკური სარგებლიანობა.

13. საწარმო გაიღებს თავისი შემოსავლიდან ყველა გადასახდელსა და საჭირო ანარიცხებს, ანარიცხებს საკუთარ ფონდებში და ქმნის ხელფასის ფონდს შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდის სახით.

14. საწარმოს უფლება ეძლევა ყოველმხრივ გამოიყენოს ამ დებულებით გათვალისწინებული ეკონომიკური ბერკეტები, დამოუკიდებლად დაამყაროს პირდაპირი კავშირი სხვადასხვა ორგანიზაციასთან მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის, კრედიტების მიღების საკითხებზე.

15. საწარმოსადმი მართვაში სახელმწიფოს სახელით გამოდის ადმინისტრაცია, ხოლო მოცემული შრომითი კოლექტივის სახელით — მართვის საზოგადოებრივი ორგანოები. ადმინისტრაციისა და მართვის კოლექტიური საზო-

გადღობრივი ორგანოების საქმიანობის შეხამება უზრუნველყოფს მოცემული შრომითი კოლექტივის ინტერესების ოპტიმალურ შეხამებას საერთო-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან.

16. შრომითი კოლექტივი ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების ყაირათიანად გამოყენებას, განვითარებასა და გამრავლებას და საწარმოს მუშაობის მაქსიმალური ეფექტიანობის მიღწევას.

17. საწარმოსადმი საზოგადოებრივი მართვის კოლექტიურ ორგანოებს წარმოადგენენ საერთო კრება და სამეურნეო საბჭო.

18. აღმინისტრაციისა და ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანიზაციას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე საერთო კრება მიიღებს დებულებას საწარმოს საქმიანობის, წარმოების მართვის აპარატის სტრუქტურის შესახებ, შემხვედრ გეგმას, წინადადებებს საწარმოს განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, ახალ სიმძლავრეთა ათვისებისა და ასორტიმენტის განახლების შესახებ, კოლექტივის სოციალური განვითარებისა და სოციალისტური შეჯიბრების განვითარების გეგმას, შინა-სამეურნეო ანგარიშისა და შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის წესებს, ანგარიშებს საწარმოს საქმიანობის შესახებ და ა. შ.

19. საერთო კრება ირჩევს სამეურნეო საბჭოს 15-მდე კაცის შემადგენლობით. როგორც წესი, საბჭოს წევრთა არანაკლებ ნახევარს უნდა შეადგენდნენ მუშები, ხოლო მის თავმჯდომარეს დაამტკიცებს საწარმოს დირექტორი.

საწარმოს სამეურნეო საბჭო:

— ორგანიზაციას გაუწევს საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულებას;

— პროფკავშირის კომიტეტთან ერთად განიხილავს და წარადგენს საერთო კრების მიერ მისაღებად შემხვედრი გეგმის მაჩვენებლებს;

— მიიღებს სავალდებულო საგეგმო დავალებებს;

— განიხილავს შინა-სამეურნეო ანგარიშისა და ხელფასის ორგანიზაციის საკითხებს;

— განიხილავს მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის, საწარმოო სიმძლავრეთა მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის საკითხებს;

— განიხილავს ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების საკითხებს;

— განიხილავს თვიურ, კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს;

— შეიმუშავებს ღონისძიებებს საწარმოო-სამეურნეო შედეგების გასაუმჯობესებლად.

სამეურნეო საბჭო თავისი საქმიანობის შესახებ ჩააბარებს ანგარიშს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებას წელიწადში ორჯერ მაინც.

20. საწარმოს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ასრულებს კოლექტიური ორგანოების გადაწყვეტილებებს, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან კანონებს ან ნორმატიულ მითითებებს.

ისეთი სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებული არაა საერთო კრების გადაწყვეტილებებით და ოპერატიულ ჩარევას მოითხოვენ, დირექტორი მოქმედებს თავისი შეხედულებისამებრ, მაგრამ ვალ-

დებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს საერთო კრებას სამეურნეო საბჭოს მეშვეობით.

21. საწარმო, მიიღებს რა ფინანსურ დამოუკიდებლობას, მთლიანად აგებს პასუხს საფინანსო საქმიანობის შედეგებისათვის. ამასთან საკითხი უკავშირდება ხელშეწყობის დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომლებიც მოვალენი არიან უზრუნველყონ დადებითი საბოლოო ფინანსური შედეგების მიღწევა და ამოქმედონ წარმოების რეზერვები (სიმძლავრეთა სრული გამოყენება, ნედლეულის ეკონომია, საგემო, ტექნოლოგიური, საწარმოო დისციპლინის ამოქმედება და ა. შ.). ხანგრძლივი დროის მანძილზე გადახდისუნარიანობის შემთხვევაში შეიქმნება სასტაბილიზაციო კომისია, რომელიც იკისრებს საწარმოს მართვას და განახორციელებს ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის ღონისძიებებს, ხოლო შემდეგ უფლება აქვს დააყენოს საკითხი საწარმოს ღირებულების შემადგენლობის განახლების შესახებ.

22. სამეურნეო ანგარიშის ძირითადი პრინციპები ხორციელდება შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების გზით. ბრიგადა საწარმოს სტრუქტურაში ცენტრალური რგოლი ხდება და წარმოადგენს პირველადს საწარმო, ეკონომიკურ და სოციალურ ერთეულს.

ბრიგადის შემადგენლობაში, მუშების გარდა, შეიძლება შეყვანილ იქნეს ოსტატები, ხოლო საჭირო შემთხვევებში — საამქროს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სხვა მუშაკებიც (წარმოების, საამქროს სტრუქტურის შესაბამისად).

თუ ბრიგადა ასრულებს დავალებას მუშაკთა ნაკლები რიცხოვნობით, იგი მიიღებს ხელფასის სრულ ფონდს და განაწილებს ხელფასს ბრიგადის წევრთა შორის შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

ბრიგადასა და ადმინისტრაციას შორის დაიდება ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს ურთიერთვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას. ადმინისტრაციას უფლება არა აქვს შეცვალოს დამტკიცებული დებულების ფარგლებში მიღებული ბრიგადის გადაწყვეტილებანი.

შრომის ბრიგადული ორგანიზაციის სისტემა საწარმოში შეიძლება სრულყოფილ იქნეს და შეიცვალოს თვით საწარმოს მიერ თვითნაზღაურობის, მატერიალური დაინტერესებისა და მატერიალური პასუხისმგებლობის პრინციპების საფუძველზე.

IV. დაგეგმვა და დაფინანსება

23. საწარმოში ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური დოკუმენტია მისი ხუთწლიანი გეგმა, რომელშიც დავალებები განაწილდება წლების მიხედვით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს კომპლექსური მიზნობრივი პროგრამებიდან, გრძელვადიანი გეგმიდან და გენერალური სქემებიდან გამომდინარე პრობლემათა გადაჭრას.

წლიური გეგმა განიხილება როგორც ხუთწლიან დავალებათა დაკონკრეტებისა და შესრულების საშუალება. წლიური გეგმების ფორმირება ხორციელდება საწარმოს შრომითი კოლექტივის აქტიური მონაწილეობით.

სახელმწიფო საგეგმო დავალებებს ამტკიცებს სამინისტრო შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

პირველი ჯგუფი (საბოლოო სამეურნეო შედეგები):

— პროდუქციის ძირითადი სახეობანი ნატურალური გამოხატულებით;

— მოგება;

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, გარემოს დაცვისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის კომპლექსური პროგრამები;

— დარგობრივი დანიშნულების ახალ, რეკონსტრუირებულ და მოდერნიზებულ საწარმოო სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემა;

მეორე ჯგუფი (რესურსების ხარჯვა):

— მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ლიმიტები;

— სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტები.

საკონტროლო ციფრებთან და სახელმწიფო საგეგმო დავალებებთან ერთად საწარმოს ეცნობება აგრეთვე სხვა გაანგარიშებული ნორმატივები და მაჩვენებლები: პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა (პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების შესაფასებლად), ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის ხვედრითი წონა პროდუქციის წარმოების საერთო მოცულობაში, შრომის ნაყოფიერების ზრდა, ნორმატიული წმინდა პროდუქცია, ბიუჯეტის შესატანები და ა. შ.

სახელმწიფო გეგმა შეიძლება ითვალისწინებდეს საწარმოო სიმძლავრეთა არასრული დტვირთვის დავალებებს იმ მიზნით, რომ საწარმოს შეექმნას ერთგვარი თავისუფალი მოქმედების საშუალება პროდუქციის წარმოებაში. სახელმწიფო საგეგმო დავალებათა დამტკიცების შემდეგ არ შეიძლება საწარმოს მიერ გამოვლენილი რეზერვების ჩამორთმევა.

აქრძალულია საწარმოს სრული გეგმის შეცვლა, გარდა განსაკუთრებულ შემთხვევებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმებით.

24. სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულება ჯამდება ყოველწლიურად ხუთწლედის დაწყებიდან დაგროვების გათვალისწინებით. შესაბამის წელს ცალკეულ დავალებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი გათვალისწინებულ იქნება მომდევნო წლის შემხვედრ გეგმებში, ხოლო წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისას ხუთწლიანი გეგმა არ კორექტირდება გადიდების მხრივ.

25. საწარმოს შემხვედრი გეგმა — ეს არის კომპლექსური სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, საფინანსო გეგმები და სოციალური განვითარების გეგმა მთელ სამეურნეო საქმიანობასთან შეხამებით. მას ადგენს შრომითი კოლექტივი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე დამატებითი შინასამეურნეო რეზერვების გამოყენების გათვალისწინებით.

შემხვედრი გეგმები დგება ქვემოდან ზემოთ საწარმოს მთელი კოლექტივის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით და სამინისტროს დახმარებით, რომელიც იღებს ზომებს შემხვედრ საგეგმო დავალებათა საფუძველზე მიმწოდებელ და მომხმარებელ საწარმოებთან ურთიერთობის კოორდინაციის მიზნით.

საწარმოს ნება ეძლევა შემხვედრი დაგეგმვის წესით აწარმოოს ყოველგვარი პროდუქცია, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნილებით სარგებლობს.

საწარმოს შრომითს კოლექტივს შეუძლია ნებისმიერ დროს შეცვალოს შემხვედრი გეგმები გადიდების მხრივ იმ პირობით, რომ დამტკიცებული სახელმწიფო საგეგმო დავალებები შესრულდება და სახელმწიფოებო ვალდებულებები დაკული იქნება. შემხვედრი გეგმა დამატებითი დავალებაა, რომლის შესრულება სავალდებულოა.

26. საწარმო გეგმავს კაპიტალურ დაბანდებებს ზემდგომი ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული სატიტულო სიების საფუძველზე.

საწარმოს ამავე დროს შეუძლია დაგეგმოს კაპიტალური დაბანდებანი საკუთარი სახსრების ხარჯზე იმ მიზნით, რომ:

— განახორციელოს სიმძლავრეთა მოდერნიზაცია და რეკონსტრუქცია, სრულყოს შრომის სოციალისტური ორგანიზაცია, გააუმჯობესოს შრომის პირობები და ა. შ., თუ ამ ღონისძიებათა განხორციელების ვადა 12 თვეს არ აღემატება;

— ააშენოს ობიექტები და განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც სრულდება საკუთარი ძალებით (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის 75 პროცენტზე მეტი) და მაღალეფექტიანია, ანაზღაურების ვადა 3 წელს არ აღემატება;

— განახორციელოს ტექნოლოგიური მოწყობილობის მონტაჟი, დანერგოს ავტომატიზაციის საშუალებანი, რომლებიც საჭიროა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის კომპლექსური პროგრამებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად, თუ ანაზღაურების ვადა 3 წელს არ აღემატება;

— ააშენოს სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების ხარჯზე.

სარგებლობს რა სრული დამოუკიდებლობით საკუთარი სახსრების (განვითარების ფონდის) გამოყენების საქმეში, საწარმო ამაღლებს წარმოების ტექნიკურ დონეს, კაპიტალურ დაბანდებათა არაცენტრალიზებული წყაროების ათვისება ხდება სამეურნეო წესით. დასაშვებია შესაბამის სამუშაოთა შესრულება საიჯარო წესითაც, ამ მიზნისათვის საჭირო ღირებულების დაგეგმვით. ამ მიზნით ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინებული სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯზე დასაფინანსებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად მოწყობილობა და სხვა რესურსები გამოიყოფა იმავე წესით, როგორც სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

საწარმოს შეუძლია გასწიოს დამატებითი დანახარჯები წარმოების ტექნიკური კვლავალტურვის მიზნით კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული საამორტიზაციო ანარიცხების სახსრების ნაწილიდან იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნული დანახარჯები უფრო ეფექტიანად ანაზღაურდება.

საწარმოს უფლება აქვს უშუალოდ დაამყაროს კავშირი სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან კაპიტალური დაბანდებები-

სათვის კრედიტების მისაღებად სამინისტროს ან სხვა ზემდგომი ორგანიზაციების განსაკუთრებული ნებართვის გარეშე. კრედიტების მიღების აუცილებლობა დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისი ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებებით.

27. სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითნაზღაურობის პრინციპიდან გამომდინარე, საწარმო უშუალოდ დააფინანსებს თავის ხარჯებს საწარმო-სამეურნეო საქმიანობისა და კოლექტივის სოციალური განვითარებისათვის.

ფულადი სახსრები გამოიყოფა დამოუკიდებელ ფონდებად, რომლებიც არ ექვემდებარება ჩამორთმევას ან ცენტრალიზაციას სამინისტროს ან რომელიმე სხვა ორგანოს მიერ.

28. საწარმო ქმნის შემდეგ ფულად ფონდებს:

— წარმოების განვითარების ფონდს;
— სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდს;

— სამეურნეო რისკის ფონდს;

— ხელმძღვანელის ფონდს;

— სპეციფიკურ ფონდებს;

— ხელფასის ფონდს.

29. წარმოების განვითარების ფონდი იქმნება:

— შემოსავლის ანარიხებისაგან დაწესებული სტაბილური ნორმატივის მიხედვით;

— საამორტიზაციო ანარიცხებისაგან საწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებათა აღსადგენად;

— საწარმოო დანიშნულების ძირითად საშუალებათა გაყიდვისა და ლიკვიდაციის შედეგად შემოსული თანხებისაგან;

— სამინისტროს მიერ დაწესებული სხვა წყაროებისაგან.

განვითარების ფონდის შექმნის წესს განსაზღვრავს სამინისტრო არსებული მდგომარეობის საფუძველზე და ამ ეკონომიკური ექსპერიმენტის თავისებურებათა გათვალისწინებით.

ფონდის სახსრები გამოიყენება ძირითადი საწარმოო ფონდების გაფართოებასთან და სრულყოფასთან, მეცნიერული კვლევის განხორციელებასთან და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვასთან, კადრების მომზადებასთან, მათი კვალიფიკაციის ამაღლებასთან, შრომის პირობებისა და დაცვის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მთელი ხარჯების დაფინანსების მიზნით.

აკრძალულია წარმოების განვითარების ფონდის სახსრების ხარჯვა:

— საწარმო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე დანახარჯების დასაფარავად;

— ხელფასისა და პრემიების გასაცემად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სამუშაოები სრულდება სამეურნეო წესით;

— ყოველგვარი ზარალისა და წაგების დასაფარავად, გარდა ზიანისა, რაც მიიყენა დაუზღვეველ ქონებას სტიქიურმა უბედურებამ.

30. სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფოხდი იქმნება ნორმატივის მიხედვით შემოსავლის ანარიცხების, საბინაო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მეურნეობის ძირითად საშუალებებზე საამორტიზაციო ანარიცხების, დამხმარე მეურნეობების მოგების, სახალხო მოხმარების საქონლის რეალიზაციის მოგების ნაწილისაგან.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები გათვალისწინებულია შრომითი კოლექტივის განვითარების სოციალური პროგრამის შესრულებასთან დაკავშირებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო ხასიათის ღონისძიებებისათვის.

31. სამეურნეო რისკის ფონდი იქმნება საბალანსო მოგების მიმართ ნორმატივის მიხედვით შემოსავლის ანარიცხებისაგან და გათვალისწინებულია გადიდებული რისკის საქმიანობის სახეობათა და წარმოებს ორგანიზაციის ხარჯების ასანაზღაურებლად: ხელფასის ფონდის დანაკლისის შესავსებად ან გადახარჯვის დასაფარავად, საუპიროს გადასახდელად, ზარალისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისას.

სახსრები ხელფასის ფონდის დანაკლისის შესავსებად ან გადახარჯვის დასაფარავად, საუპიროს გადასახდელად, ზარალისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისას გამოიყენება სესხის სახით და აუცილებლად აღდგება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

32. ხელმძღვანელის ფონდი იქმნება შემოსავლის ანარიცხების ხარჯზე და ამტკიცებს სამინისტრო, ფონდის სახსრები გათვალისწინებულია წარმომადგენლობითი მიზნებისათვის (სტუმრების, დელეგაციების შეხვედრა და ა. შ.) განკუთვნილი ხარჯების დასაფარავად. გაწეული ხარჯები დოკუმენტურად ფორმდება დადგენილი წესით.

33. სპეციფიკური ფონდები იქმნება საწარმო-საფინანსო აუცილებლობის შემთხვევაში და სამინისტროსთან შეთანხმებით.

34. ხელფასის ფონდი იქმნება როგორც შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდე სხვა ფონდებში შემოსული სახსრების გამოკლებით, ე. ი. მისი ოდენობა დამოკიდებულია საბოლოო სამეურნეო შედეგებზე, საწარმოს შემოსავალზე.

35. საწარმო თავის შემოსავალს ქმნის და ანაწილებს რეალიზაციით მიღებული ფაქტიური ფულადი შემოსავლის საფუძველზე, რომლის აღსარიცხავად ყოველთვიურად (წლის დამდგვიდან დაგროვების გათვალისწინებით) დგება გაანგარიშება, № 1 დანართის თანახმად.

საწარმოს შემოსავალი განისაზღვრება როგორც მისი მოგება სავალდებულო ანარიცხების, დოტაციისა და ხელფასის ხარჯების შემდეგ, რაც დარიცხულია გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებაზე. ხელფასის ფონდი მთლიანად დამოკიდებულია საწარმოს საერთო შემოსავალზე.

36. საწარმო საბალანსო მოგებიდან გაიღებს შემდეგ გადასახდელებსა და ანარიცხებს:

— ძირითადი საწარმოო ფონდებისა და ნორმირებადი საბრუნავი სახსრების გადასახდელს;

- ბიუჯეტში მოგების ანარიცხებს ნორმატივების მიხედვით;
 - ბანკის კრედიტისათვის პროცენტებს;
 - ანარიცხებს მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ერთიან ფონდში.
37. ანარიცხები სოციალური დაზღვევისათვის, პროცენტები საბრუნავი სახსრების ბანკის კრედიტისათვის განისაზღვრება მთავრობის შესაბამისი დადგენილებებით დაშტკიცებული ნორმატივებით.
38. ანარიცხები ხელფასის ფონდში განისაზღვრება როგორც შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდე, საწარმოს სხვა ფონდებში შემოსული სახსრების გამოკლებით, მაგრამ არა უმეტეს მაქსიმალური ოდენობისა.
- თუ ფონდის ნაშთი მეტია, მაშინ სხვაობის თანხით დიდდება ანარიცხები წარმოების განვითარებისა და სამეურნეო რისკის ფონდებში.
39. ხელფასის მაქსიმალურად შესაძლებელი ფონდი პირდაპირ დამოკიდებულია რეალიზებული საერთო შემოსავლის ოდენობასა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპზე. მისი ოდენობა განისაზღვრება საერთო შემოსავლის ზრდის შესაბამისად წინა წელს ხელფასისათვის ფაქტიურად დარიცხული სახსრების გადიდების მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ნორმატიული სიდიდისა: შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის შესაბამისად.
- ხელფასის ფონდი დიდდება ნორმატივის მიხედვით შემოსავლის ზრდის ყოველ პროცენტზე 0,5 პროცენტით, გაანგარიშების საფუძველზე, № 2 დანართის თანახმად.
40. იმ შემთხვევაში, როცა საერთო შემოსავალი არ აღემატება წინა წელს მიღწეულ ოდენობას, ხელფასის მაქსიმალურად შესაძლებელი ფონდი განისაზღვრება წინა წლის ანგარიშის მიხედვით საერთო შემოსავალში ხელფასის ფონდის ფაქტიური ხვედრითი წონის ბაზაზე.
41. იმ შემთხვევაში, თუ საერთო შემოსავალი გადიდდა წინა წელთან შედარებით პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი მატერიალური დანახარჯების ეკონომიით: თვითღირებულების შემცირების შედეგად, ხელფასის მაქსიმალურად შესაძლებელი ფონდი განისაზღვრება ცალკე თვითღირებულების შემცირების მაჩვენებლისა და სხვა ფაქტორების ხარჯზე რეალიზებული საერთო ფონდის მიხედვით, სახელდობრ:
- თვითღირებულების შემცირების მიხედვით — პირდაპირი მატერიალური დანახარჯების ეკონომიის ნაწილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 10 მაისის № 386 დადგენილების შესაბამისად ხმარდება მატერიალური რესურსების ეკონომიისათვის მუშაკთა სტიმულირებას;
 - შემოსავლის დანარჩენი ნაწილის მიხედვით — 38-ე პუნქტით გათვალისწინებული წესით.
42. პროდუქციის ერთეულზე პირდაპირი მატერიალური დანახარჯების ეკონომიის შედეგად თვითღირებულების შემცირება განისაზღვრება საბუღალტრო მონაცემების საფუძველზე საანგარიშგებო კალკულაციების მიხედვით წინა წლის ფაქტიურ მიღწევებთან შედარებით.
43. იმ შემთხვევაში, როცა საწარმო აღიდებს პერსონალის რიცხოვნობას წინა წლის დონესთან შედარებით ახალ სიმძლავრეთა საქსპლუტაციოდ გა-

დაცემის, მუშაობის ცვლიანობის გადიდების, მოთხოვნის მქონე პროდუქციის წარმოების გაფართოების და სხვა მიზეზების გამო, 38-ე პუნქტის შესაბამისად კუთვნილი ხელფასის სახსრები განისაზღვრება შემდეგი წესით:

— თუ საერთო შემოსავალი იზრდება პერსონალის რიცხოვნობის გადიდების პროცენტის შესაბამის ოდენობამდე, ხელფასის მაქსიმალურად შესაძლებელი ფონდი წინა წელთან შედარებით დიდდება 1 პროცენტით საერთო შემოსავლის ზრდის ყოველი პროცენტისათვის;

— საერთო შემოსავლის დანარჩენი ნაწილიდან ხელფასის სახსრები განისაზღვრება დადგენილი წესით საწარმოს მიერ დამტკიცებული ნორმატივის მიხედვით.

44. იმ შემთხვევაში, როცა საწარმოს შემოსავალი გაანგარიშების მიხედვით (დანართი № 1) არასაკმარისია ხელფასის ფონდის მაქსიმალურად შესაძლებელი ოდენობის დასარიცხად, სახსრები ნაწილდება პროპორციულად ცალკეული ფონდების მიხედვით საგეგმო გაანგარიშებაში გათვალისწინებული მათი თანაფარდობის დაცვით. ასეთ შემთხვევებში სახსრები სამეურნეო რისკის ფონდში შეიძლება არ გადაირიცხოს.

45. მატერიალური დანახარჯების ეკონომიის შედეგად ხელფასის ფონდში ანარიცხების ხარჯზე საშუალო ხელფასის ზრდა რეგულირებას არ ექვემდებარება.

46. რეგულირების საჭიროებისათვის საშუალო ხელფასის ოდენობის განსაზღვრისას ხელფასის ფონდში შემოსავლიდან ჩარიცხული სახსრებიდან წინასწარ გამოიქვეთება ხარჯები არასიობრივი შემადგენლობისათვის.

V. შრომის ანაზღაურება

47. ხელფასის შედეგობრივ-ნაშთობრივი ფონდი განისაზღვრება ყოველთვიურად მზარდი შედეგით წლის დამდეგიდან და ნაწილდება შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- მიმდინარე შრომითი გასამრჯელო;
- პრემიები მოქმედი დებულებების მიხედვით;
- ხელფასის რეზერვი (შედეგობრივ-ნაშთობრივი ფონდის ერთი პროცენტი).

48. იმ შემთხვევებში, როცა საწარმოს შედეგობრივ-ნაშთობრივი ფონდი მაქსიმალურად შესაძლებელ ფონდზე მეტია, სხვაობის თანხა მოხმარდება წარმოების განვითარების ფონდისა და სამეურნეო რისკის ფონდის გადიდებას.

49. როცა ხელფასის შედეგობრივ-ნაშთობრივი ფონდი ნაკლებია მაქსიმალურად შესაძლებელზე დადგენილი წესით განსაზღვრული მიმდინარე შრომითი გასამრჯელოსათვის, პირველ რიგში უზრუნველყოფილ იქნება სახსრები საწარმოო მუშებისა და მართვის დამხმარე პერსონალის შრომის ასანაზღაურებლად, ხოლო ნაშთი — ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტებისათვის, გარანტირებული მინიმუმის გარეშე. ასეთ შემთხვევებში ხელმძღვანელ მუშაკებს. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს (დამხმარე პერ-

სონალის გარდა) 1984 წლის განმავლობაში შეუმცირებდათ ხელფასი დაახლოებით 20 პროცენტის ოდენობით, მოყოლებული 1985 წლიდან, აღნიშნულ მუშაკებს სახსრების უკმარობის შემთხვევაში ხელფასი გარანტირებული არ ექნებათ გეგმის შეუსრულებლობის მიზეზების აღმოფხვრამდე და უკმარი სახსრების შევსებამდე.

იმ შემთხვევებში, როცა სახსრების უკმარობა გამოწვეულია საწარმოსა და სამინისტროზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ყველა კატეგორიის მუშაკებს მიეცემათ ხელფასი საწარმოს ფონდებისა და ბანკის კრედიტის ხარჯზე.

50. სახსრების უკმარობისას ხელფასის ფაქტიური ფონდის მკვეთრი შემცირების შეზღუდვის მიზნით საწარმოს უფლება აქვს შეაქოს ნაკლებობა:

— ხელფასის სარეზერვო ფონდის;

— სამეურნეო რისკის ფონდის;

— სესხის სახით გამოყენებული სხვა ფულადი ფონდების მიხედვით დროებით თავისუფალი სახსრების;

— ბანკის მოკლევადიანი კრედიტების ხარჯზე.

შემოაღნიშნული წყაროები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმისათვის, რომ ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების შრომის ანაზღაურება დავიდეს უკმარშესრულების პროცენტით შემცირებული თანამდებობრივი სარგოების ოდენობამდე.

51. დამატებითი შრომითი გასამრჯელო გაიცემა ხელფასის ფონდიდან სრული ოდენობით, მიღწეული შედეგების მიუხედავად.

52. ხელფასის ფონდის ხარჯზე ბრიგადის საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას ბრიგადირის ფონდი დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულების სტიმულირების, აგრეთვე მიმდინარე სიძნელეთა დაძლევის და სხვა მიზნებისათვის.

53. საშუალო ხელფასის ზრდის ტემპი არ შეიძლება უსწრებდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს და რეგულირდება ხუთწლიანი გეგმით განსაზღვრული თანაფარდობით.

54. დაუშვებელია მმართველობის აპარატის შენახვის ხარჯების ლიმიტების გადაშეტება. რიცხოვნობის ლიმიტის გადაშეტების ყოველი პროცენტისათვის საწარმოს ხელმძღვანელს, მთავარ ბუღალტერს, მთავარ ეკონომისტს, რომლებიც პასუხს აგებენ საშტატო-საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის, უმცირებდათ ხელფასი 10 პროცენტით ამ დარღვევის აღმოფხვრამდე.

55. აღმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ხელფასის ოდენობა განისაზღვრება თანამდებობრივი სარგოების საფუძველზე და წლის განმავლობაში გაიცემა აგანსების სახით. თითოეული მუშაკის პირადი წვლილის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულება, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, მოგება.

56. საამქროების, ცვლების უფროსთა, საწარმოო ჯგუფების ხელმძღვანელთა და სხვა მუშაკთა ხელფასის ოდენობა, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ და მონაწილეობენ კომპლექსურ ბრიგადებში, იქმნება და გაი-

ცემა თვეების მიხედვით. მიღწეულ შედეგებში თითოეულის წვლილის შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მაჩვენებლები: პროდუქციის მოცულობა ნატურით, ხარისხი, ასორტიმენტი, მატერიალური რესურსების ეკონომია.

57. საერთო შემოსავლის მიხედვით დავალებათა შეუსრულებლობისას ხელმძღვანელი კადრებისა და წამყვან სპეციალისტთა ძირითადი ხელფასი მცირდება 1 პროცენტით შეუსრულებლობის ყოველი პროცენტისათვის, ხოლო დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისას — დიდდება 1 პროცენტით გადაჭარბების ყოველი პროცენტისათვის.

58. ნედლეულის ხარჯვის შემცირებით გაანგარიშებული დამატებითი მოგების დავალების შეუსრულებლობისას საწარმოს ხელმძღვანელისა და წამყვან სპეციალისტთა ხელფასი არ შეიძლება აღემატებოდეს თანამდებობრივი სარგოს ოდენობას.

59. ხელმძღვანელი კადრებისა და წამყვან სპეციალისტთა ხელფასის შემცირება საერთო შემოსავლისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით დამტიკებულ საგვეგმო დავალებათა შეუსრულებლობისათვის შეიძლება დიფერენცირებულ იქნეს დანაშაულის დონის შესაბამისად ამ პერსონალის ხელფასის შემცირების საერთო თანხის ფარგლებში.

60. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება ხდება მათი მიზეზით საწარმოსათვის მიყენებული ზარალის თანხის გამოქვითვით, მაგრამ არა უმეტეს მათი თვიური სარგოს (თვიური სატარიფო განაკვეთის) ერთი მესამედისა. ზარალად ითვლება უხარისხო პროდუქციის გამოშვების, სახელშეკრულებო პირობების დარღვევის, მატერიალური რესურსების ნორმების გადახარჯვის შედეგად წარმოქმნილი და სხვა ზარალი. ამავე დროს მუშა-მოსამსახურეებს არ ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა იმ ზარალისათვის, რაც განიცადა საწარმომ ხელმძღვანელთა ან სხვა თანამდებობის პირთა მიზეზით.

61. მართვის კოლექტიური ორგანოსა და პროფკავშირის კომიტეტის გადაწყვეტილებით ხელმძღვანელ კადრებს (გარდა იმ მუშაკებისა, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტრო) და სპეციალისტებს, რომლებიც გამოიჩინენ უნარსა და მაღალ კვალიფიკაციას, შეიძლება განესაზღვროთ ინდივიდუალური თანამდებობრივი სარგოები დაწესებული თანამდებობრივი სარგოების გადაჭარბებით, მაგრამ თანამდებობრივი სარგოების დაწესებული სქემის მიხედვით მაქსიმალური თანამდებობრივი სარგოს არა უმეტეს 30 პროცენტისა.

62. საწარმოს ხელმძღვანელს უფლება აქვს დაუწესოს პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით მაღალკვალიფიციურ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც სამეცნიერო ხარისხი არა აქვთ, დანამატები თანამდებობრივი სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით, ხოლო განსაკუთრებით პასუხსაგებ სამუშაოებზე დასაქმებულ მუშებს პროფესიული ოსტატობისათვის — სატარიფო განაკვეთების დანამატი (IV თანრიგის მუშებს — სატარიფო განაკვეთის 16 პროცენტამდე, V თანრიგისა — 20 პროცენტამდე და VI თანრიგისა — 24 პროცენტამდე). მუშაკებს, რომლებიც ინდივიდუალურ

თანამდებობრივ სარგოებს იღებენ, შეიძლება დაენიშნოთ ზემოაღნიშნული დანამატები დაწესებული სქემის მიხედვით მუშაკის შესაბამისი თანამდებობისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სარგოდან გამომდინარე.

63. საწარმოს ღირექციას უფლება აქვს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით დაუწესოს:

— დანამატები პროფესიათა (თანამდებობათა) შეთავსებისათვის პერსონალის სხვადასხვა კატეგორიას მიკუთვნებულ მუშაკებს (ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, მუშებს და ა. შ.) ზემდგომი ორგანოების მიერ შეთავსებული პროფესიების ნუსხის დამტკიცების გარეშე;

— სარგოები განსაკუთრებით დიდშენიშვებლოვან და პასუხსავებ სამუშაოებზე დასაქმებულ მაღალკვალიფიციურ მუშებს — თვეში 230 მანეთის ოდენობით (მაგრამ არა უმეტეს ოსტატთა თანამდებობრივი სარგოებისა და ნამატის 50 პროცენტის გათვალისწინებით).

64. სამინისტროს უფლება აქვს დაუწესოს თანამდებობრივი სარგოს დანამატები საწარმოს ღირექტორს, მთავარ ბუღალტერსა და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტრო.

65. ყოველგვარი დანამატები გაიცემა ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე თითოეული მუშაკის კვალიფიკაციისა და საწარმოს მაჩვენებლების გაუმჯობესებაში მისი პირადი წვლილის გათვალისწინებით.

66. მუშათა ხელფასი ყოველთვიურად განისაზღვრება ხელფასის ფონდის ფარგლებში მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის პირდაპირი თუ არაპირდაპირი შეფასების საფუძველზე.

67. საამქროების მიხედვით მუშათა ხელფასის ფონდი იქმნება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისად:

- პროდუქციის მოცულობა;
- პროდუქციის ხარისხი;
- პროდუქციის ასორტიმენტი;
- პირდაპირი მატერიალური ხარჯების ეკონომია.

ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ნორმატივებს ყოველთვიურად ამტკიცებს საწარმოს ღირექცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით თითოეული საწარმოს სტრუქტურისა და წლიური გეგმის გათვალისწინებით.

68. საწარმოს ღირექცია ამ დებულების ძირითადი პრინციპების გათვალისწინებით პროფკავშირის კომიტეტთან ერთად შეიმუშავენს და დამტკიცებს ბრიგადების მიხედვით ხელფასის ფონდის შექმნის წესს.

69. ხელფასი გაიცემა თვეში ორჯერ — პირველ დეკადაში ავანსის სახით და მესამე დეკადაში წინა თვის მუშაობის შედეგების მიხედვით.

VI. წარმოების რეზერვების ძიების ორგანიზაციისა და მობილიზაციის საფუძვლების მოწესრიგება

70. საწარმოს ხელფასის ფონდი იქმნება როგორც შედეგობრივ-ნაშთობრივი სიდიდე, რომელიც იცვლება საბოლოო შედეგების ცვლილებას-

თან ერთად. ამით შრომითი კოლექტივის მოქმედება ხმარდება რეზერვების გამოვლენასა და გამოყენებას საერთო შემოსავლის გასადიდებლად, პერსონალის რიცხოვნობის შემცირებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, მატერიალური რესურსების ეკონომიას და ა. შ.

71. საწარმო წარმართავს მუშაობას ეკონომიკური ანალიზისა და შინასაწარმოო რეზერვების ძიების დარგში. ამ მუშაობის სათავეში უნდა იყვნენ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. პროფესიული ჩვევების შესაძენად იქმნება ეკონომიკური ანალიზისა და წარმოების რეზერვების ძიების განყოფილება.

ეკონომიკური ანალიზისა და წარმოების რეზერვების ძიების განყოფილებამ უნდა აითვისოს თანამამრავლ ელემენტთა სტანდარტული შემადგენლობით დეტერმინირებული ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, უზრუნველყოს წარმოების საბოლოო შედეგების ზრდის რეზერვების რეალური სიდიდის გაზომვა, უწინარეს ყოვლისა, შრომის ნაყოფიერების ზრდის რეზერვებისა და მის ხარჯზე პროდუქციის საერთო გამოშვების მატების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვების, ე. ი. წარმოების დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლების რეზერვების გაზომვა.

72. საწარმო ნერგავს წარმოების მიმდინარე და პერსპექტიული რეზერვების სპეციალურ სისტემისგარეშე აღრიცხვას საამქროებში, სამუშაო ბრიგადებში და სამუშაო ადგილებზე, აგრეთვე განყოფილებებში და წარმოების მართვისა და მომსახურების სხვა ქვედანაყოფებში.

73. წარმოების რეზერვების მობილიზაციისათვის მუშაობის ორგანიზაციის პროცესთა რეგულირებას საწარმო ახორციელებს:

— წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა და პროდუქციის თვითღირებულების კალკულირების ნორმატიული მეთოდის;

— აღრიცხვის საეურნალო-საორდერო ფორმის (სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის ოპერატიულ-საბუღალტრო-სააღდოს მეთოდის),

— ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე აღრიცხვის ცხრილურ-პერფორმარათული ფორმის დანერგვის საფუძველზე.

74. საწარმო ახორციელებს ეფექტიან წინმსწრებ კონტროლს მოგების გეგმის შესრულებისა და ამ პროცესის ოპერატიული მართვისადმი.

VII. ფასწარმოქმნა და სასორტიმენტო გეგმა

75. სამინისტრო ამტკიცებს გამოსაშვები პროდუქციის ნომენკლატურას, რომელიც აუცილებლად უნდა დაიცვას საწარმომ. სავალდებულო ასორტიმენტის რეალიზაციისათვის პასუხს აგებს არა საწარმო, არამედ სამინისტრო.

იმ პროდუქციის გამოშვებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომელიც ვერ გასაღდა, ჩამოიწერება სამინისტროს ანგარიშიდან და ჩაირიცხება საწარმოს ანგარიშზე.

76. სავალდებულო ასორტიმენტის გარდა თვით საწარმო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან შეთანხმებით განსაზღვრავს საასორტიმენტო გეგმას როგორც პროდუქციის რეალიზაციის სახელმწიფო გეგმის ფარგლებში, ისევე შემხვედრი გეგმის მიხედვითაც.

77. გამოშვებული პროდუქციის შეუფერხებელი რეალიზაციის მიზნით საწარმოს უფლება აქვს შეუზღუდავად განაახლოს ასორტიმენტი თავისი ნომენკლატურის მიხედვით და საჭიროების კვალობაზე მოსთხოვოს სამინისტროს სავალდებულო ასორტიმენტის შეცვლა. საასორტიმენტო გეგმის მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის საკითხები უთანხმდება სამინისტროს.

78. საწარმოს უფლება აქვს დაამტკიცოს ახალ ნაკეთობათა პირველი საცდელი პარტიების ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია ან მათი ტექნიკური აღწერილობა და დააწესოს საბითუმო და საცალო ფასები სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის 1980 წლის 27 მაისის № 500 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, ნაკეთობათა გამოშვების მოცულობის შეუზღუდავად.

79. საქართველოს სსრ ფასების სახელმწიფო კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ფასწარმოქმნის მოთხოვნების დაცვას, არ დაუშვებს საქონლის ფასების დაუსაბუთებელ გადიდებას. რენტაბელობის ამაღლება უზრუნველყოფილია მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა დანერგვის, ნედლეულის, მასალების, ცოცხალი შრომის ეფექტიანი გამოყენების საფუძველზე.

80. მოდური საქონლის, გადიდებული მოთხოვნილების საქონლის ფასების განსაზღვრისას დასაშვებია მაქსიმალური ფასების დაწესება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის გათვალისწინებით. ამასთანავე დასაშვებია ნაკლები მოთხოვნილების პროდუქციის ფასების შემცირება საწარმოს ხარჯზე ფასების რეგულირების ფონდიდან.

81. საწარმო რეალიზაციას უწევს პროდუქციას საკუთარი საფირმო მაღაზიის მეშვეობით ან სავაჭრო ორგანიზაციების მეშვეობით.

VIII. დაკრედიტება და ბანკის კონტროლი

82. საწარმოს დაკრედიტებას ახორციელებს ბანკი სახელშეკრულებო საფუძველზე სახელმწიფო დავალებებისა და შემხვედრი გეგმების შესრულების მიზნით.

83. ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებათა არსებობისას სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორა მისცემს საწარმოს კრედიტებს კაპიტალური დაბანდებებისათვის იმ პირობით, თუ ამ დაკრედიტებათა 35 პროცენტი უზრუნველყოფილ იქნება საკუთარი სახსრების დაგროვების ხარჯზე.

84. ბანკი მისცემს საწარმოს კრედიტებს საბრუნავი სახსრებისათვის და გადაახდევინებს პროცენტებს ბრუნვადობის დაჩქარების ან შენელების შესაბამისად.

85. ბანკებს შეუძლიათ მისცენ საწარმოს სახსრების უკმარობისას კრედიტი 3 თვემდე ვადით მუშათა და მომსახურე პერსონალის შრომის ასანაზღაურებლად.

86. ცალკეულ შემთხვევებში სახსრების უკმარობისას ბანკის შეხედულებისამებრ საწარმოს მიეცემა კრედიტი ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტთა შრომის ასანაზღაურებლად.

87. ბანკები ახორციელებენ კონტროლს საწარმოს მიერ ფინანსური სახსრების რაციონალური ხარჯვისადმი, საკრედიტო და საანგარიშსწორებო დისციპლინის დაცვისადმი. დარღვევათა გამოვლენის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს გამოიყენოს შესაბამისი სანქციები.

88. ბანკსა და საწარმოს შორის საკრედიტო-საანგარიშსწორებო ურთიერთობას საფუძვლად უდევს დებულება, რომელსაც შეიმუშავენ ბანკი ამ ეკონომიკური ექსპერიმენტის პრინციპების გათვალისწინებით.

20 საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავ- ფხვანდის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების (საქტყავფხვანდისმრეწვი) შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავფხვანდის მრეწველობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებისა და მართვის სრულყოფის, მისი მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, და „მრეწველობის მართვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 139 დადგენილების მე-11 პუნქტის შესაბამისად შეიქმნას საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში 1984 წლის 1 იანვრიდან ტყავფხვანდის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანება (საქტყავფხვანდისმრეწვი) დანართის თანახმად გათვალისწინებული შემადგენლობით.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო გამოყოფს ტყავფხვანდის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების მმართველობის აპარატისათვის მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტს და მისი შენახვის ზღვრულ ასიგნებებს.

2. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ტყავფხვანდის სამრეწველო გაერთიანების (საქტყავფხვანდისმრეწვი) შესახებ.

3. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ გაითვალისწინოს ტყავფხვანდის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების ორგანიზაციისას საჭირო ღონისძიებათა განხორციელება და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და მისი ასორტიმენტის გაფართოებას ტყავფხვანდის ქვედარგის მაღალხარისხიან ნაწარმზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ზითანაშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 16 მარტის № 148
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ტყავ-
ფეხსაცმლის სამრეწველო გაერთიანების (საქტყავფეხსაცმელმრეწვი) შესახებ

1. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საქართველოს ტყავფეხსაცმლის სამრეწველო გაერთიანება (საქტყავფეხსაცმელმრეწვი) არის ერთიანი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედიან ტყავფეხსაცმლის საწარმოები და საწარმოო გაერთიანებანი, ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა, თბილისის ტყავგალანტერეის ფაბრიკა, ფეხსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლი და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს ეკისრება პასუხისმგებლობა საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის მდგომარეობისა და განვითარებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისა და წარმოების ტექნიკური ღონისათვის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის, ამ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენების ეფექტიანობისათვის, საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედებისა და ათვისებისათვის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისა და საფინანსო დისციპლინის დაცვისათვის, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო დავალებათა და რესპუბლიკური ბიუჯეტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

2. საქტყავფეხსაცმელმრეწვი უშუალოდ ექვემდებარება საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

3. საქტყავფეხსაცმელმრეწვის საქმიანობას საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობის, სამრეწველო გაერთიანებისა და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ინტერესების დაცვა და ამასთანავე საქტყავფეხსაცმელმრეწვის მიერ განხორციელებული ცენტრალიზებული გეგმიანი ხელმძღვანელობის სწორი შეხამება მის შემადგენლობაში შემავალი გაერთიანებების, საწარმოების, ფირმისა და ლაბორატორიის სამეურნეო დამოუკიდებლობასთან და ინიციატივასთან.

საქტყავფეხსაცმელმრეწვი მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უზრუნველყოფს პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული დანახარჯების, მათ შორის საპროექტო-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის გაწეული დანახარჯების სრულ ანაზღაურებას, ახალ ნაკეთობათა და პროცესთა ათვისებას (სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისა და ახალი ტექნიკის ათვისების სამუშაოების გარდა, რომლებიც

ფინანსდება დადგენილი წესით საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სახსრების ხარჯზე), მმართველობის აპარატის შენახვას, აგრეთვე უზრუნველყოფს მოგების მიღებას, რაც საჭიროა ბიუჯეტთან და ბანკებთან ანგარიშსწორებისათვის, საქტყავფეხსაცმელმრეწვის განვითარებისათვის, ფონდებისა და რეზერვების შექმნისა და სხვა მიზნებისათვის.

პროდუქციის წარმოებისათვის გაწეული დანახარჯების სრული ანაზღაურება და მოგების მიღება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ფასწარმოქმნის დისციპლინის ზუსტი დაცვით.

საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო გამოუყოფს საქტყავფეხსაცმელმრეწვის კაპიტალურ დაბანდებებს დადგენილი წესით.

4. საქტყავფეხსაცმელმრეწვის მთავარი ამოცანები ის არის, რომ:

— განავითაროს და სრულყოფს წარმოება და რაც შეიძლება სრულად დააკმაყოფილოს სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებანი საქტყავფეხსაცმელმრეწვის საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მიერ გამომუშავებულ ფეხსაცმელსა და სხვა პროდუქციასზე;

— შეიმუშაოს ოპტიმალური გეგმები, შეასრულოს წარმოების, მოგებისა და სახელმწიფო გეგმის სხვა მაჩვენებელთა დავალებანი, შეასრულოს ბიუჯეტის გადასახდელთა გეგმა და დაიცვას სახელმწიფო დისციპლინა;

— უზრუნველყოს ტექნიკური პროგრესი, ფართოდ გამოიყენოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები და მოწინავე გამოცდილება, უსწრაფესად დანერგოს წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიური პროცესები, ახალი მანქანები და მექანიზმები, ორგანიზაცია გაუწიოს ახალი ტექნიკის სამუშაოთა დაგეგმვას;

— გამოუშვას მაღალი ხარისხის პროდუქცია, აითვისოს ახალი პროდუქციის წარმოება, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით შეესაბამება საუკეთესო სამამულო და საზღვარგარეთულ ნიმუშებს ან სჯობს ამ ნიმუშებს და უპასუხებს მომხმარებელთა მოთხოვნებს;

— უზრუნველყოს მთელი საწარმოო-სამეურნეო კომპლექსის გეგმაზომიერი და პროპორციული განვითარება, ყოველმხრივ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა წარმოების კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და კოოპერირების, შინაგანი რეზერვების მაქსიმალური გამოყენების, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის, აგრეთვე ნედლეულის კომპლექსური გამოყენების, პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის გადიდების საფუძველზე;

— რაციონალურად გამოიყენოს და აამაღლოს კაპიტალურ დაბანდებთა ეფექტიანობა, შეამციროს მშენებლობის ვადები და ღირებულება, უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეთა დროულად ამოქმედება და სრულად გამოყენება;

— უზრუნველყოფს საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და სამრეწველო-სავაჭრო ფირ-

მის მიერ პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შესრულება დადგენილი ოდენობით, ვადებში და ნომენკლატურით (ასორტიმენტით) დადებული ხელშეკრულებების (შესასრულებლად მიღებული განრიგების) შესაბამისად;

— სრულყოფილი დაგეგმვა და მართვა, დანერგოს შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაცია, აამალოს ეკონომიკური მეთოდების როლი საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მართვაში;

— უზრუნველყოს სოციალისტური შეჯიბრების ყოველმხრივი განვითარება და მშრომელთა ფართო მონაწილეობა წარმოების მართვაში, განახორციელოს საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კოლექტივების სოციალური განვითარების ღონისძიებანი;

— გააუმჯობესოს მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები, შექმნას შრომის რაც შეიძლება ხელშემწყობი და უსაფრთხო პირობები.

5. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო ხელმძღვანელობს მის შემადგენლობაში შემავალ საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებს, სამრეწველო-სავაჭრო ფირმასა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას და გამოდის მათ მიმართ როგორც ზემდგომი ორგანო, ახორციელებს სამეურნეო საქმიანობას, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მოქმედებს სამეურნეო ანგარიშის საწყისებზე, აქვს მის საქმიანობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობანი და არის იურიდიული პირი.

6. წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით საქტყავფეხსაცმელმრეწვი ახორციელებს ერთიან პოლიტიკას და სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ახდენს ცალკეული საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების მთლიან ან ნაწილობრივ ცენტრალიზაციას.

სამრეწველო გაერთიანებას „საქტყავფეხსაცმელმრეწვს“ და ტყავფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანებებს, სამრეწველო-სავაჭრო ფირმას, რომლებსაც ეკისრებათ საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული შესრულება, სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების წინაშე აქვთ ქონებრივი პასუხისმგებლობა ამასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა შესრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობით ან დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ საფუძველზე.

საჭირო შემთხვევებში საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული შესრულებისას საქტყავფეხსაცმელმრეწვს შეუძლია დაადგინოს საწარმოო გაერთიანებებს, სამრეწველო-სავაჭრო ფირმასა და გაერთიანების სამმა-

რთველოს შორის ვალდებულებათა საფუძვლები და წესი და განსაზღვროს პასუხისმგებლობა (ჯარიმის, საურავის, საუპიროს ჩათვლით) ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის და არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ ასეთ ვალდებულებათა წარმოქმნის საფუძველი და წესი გათვალისწინებული არაა მოქმედი კანონმდებლობით.

7. საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შედიან საწარმოო გაერთიანებები და საწარმოები, რომლებიც არიან იურიდიული პირები და მოქმედებენ საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულებისა და სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულების საფუძველზე, ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 1 დეკემბრის № 774 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულების საფუძველზე, და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომელიც მოქმედებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს 1979 წლის 21 ივნისის № 263 ბრძანებით დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

8. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო თავის მუშაობას წარმართავს გაერთიანებისადმი ხელმძღვანელობის ყველა საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში კოლექტიურობისა და ერთმართველობის შეხამების საფუძველზე, ამასთან განსაზღვრავს თანამდებობის პირთა ზუსტ პასუხისმგებლობას მათთვის მინდობილ სამუშაო უბანზე არსებული მდგომარეობისათვის.

გაერთიანების შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საზოგადოებრივი ორგანიზაციები და კოლექტივები ფართოდ მონაწილეობენ სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველყოფის, საქტყავფეხსაცმელმრეწვის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის განვითარებისა და სრულყოფის, საწარმოო გაერთიანებებს, საწარმოებს, სამრეწველო-სავაჭრო ფირმასა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიას შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ურთიერთდახმარების, აგრეთვე საქტყავფეხსაცმელმრეწვის მუშაკთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხილვასა და განხორციელებაში.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო პროფკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად რეგულარულად ატარებს საწარმოო-ტექნიკურ და ეკონომიკურ კონფერენციებს, აქტივის თათბირებს, რომლებზეც განიხილება როგორც მთლიანად საქტყავფეხსაცმელმრეწვის, ისევე მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქმიანობისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხები.

9. თავის საქმიანობაში საქტყავფეხსაცმელმრეწვი ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირის

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებითა და ინსტრუქციებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 მარტის № 140 დადგენილებით დამტკიცებული სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით, სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით, ზუსტად იცავს სოციალისტურ კანონიერებასა და სახელმწიფო დისციპლინას.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო მოვალეა დაიცავს მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფლებები.

10. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო ახორციელებს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს დაგეგმვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, კაბიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, კადრების, შრომისა და ხელფასის, ფინანსების, კრედიტის, აღრიცხვისა და ანგარიშგების დარგში.

11. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო ამტკიცებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის წესდებებს.

12. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველო ორგანიზაციას უწევს დადგინილი წესით ხელშეკრულებამდელი და ქონებრივი დავის განხილვას საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მონაწილეობით, აგრეთვე წყვეტს დავას (სარჩელის ღირებულება 100 მანეთამდე) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 14 მარტის ბრძანებულებით დადგინილი წესით.

13. საქტყავფეხსაცმელმრეწვის ხელმძღვანელობას ახორციელებს მისი სამმართველო, რომელსაც სათავეში უდგას ერთმმართველობის საფუძველზე მოქმედი უფროსი.

14. საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი წარმართავს გაერთიანების მთელ მუშაობას და მთლიანად პასუხისმგებელია მისი საქმიანობისათვის.

15. საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი წარმოადგენს აღნიშნული გაერთიანების ინტერესებს ყველა საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მოქმედი კანონმდებლობის, სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგადი დებულების და ამ დებულების შესაბამისად, განაგებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოსათვის მიჩენილ ქონებას, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს (მათ შორის მათი სხვისთვის გადაცემის უფლებით), ხსნის ბანკებში საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში, შრომის კანონმდებლობის შესაბამისად სამუშაოზე იღებს და სამუშაოდან ათავისუფლებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს მუშაკებს, აგრეთვე დაწესებული ნომენკლატურის მიხედვით — საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მუშაკებს, იყენებს ამ მუშაკთა მიმართ წახალისების ღონისძიებებს და ადებს მათ სასჯელებს.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი აუქმებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელთა ბრძანებებს ან იძლევა შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს მათ ბრძანებათა შეცვლის შესახებ, თუ ეს ბრძანებები ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას, სრულიად საკავშირო და რესპუბლიკურ სამრეწველო გაერთიანებათა ზოგად დებულებას, ამ დებულებას და სხვა ნორმატიულ აქტებს.

16. საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსის მოადგილეებს, ძირითად სტრუქტურულ ქვედანაყოფთა ხელმძღვანელებს, მთავარ ბუღალტერს, უფროს იურისკონსულტს და საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელ მუშაკებს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული თანამდებობათა ნომენკლატურის მიხედვით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტრო საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსის წარდგენით.

17. საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსის მოადგილეთა და საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ მუშაკთა კომპეტენციებს განსაზღვრავს გაერთიანების უფროსი.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსის მოადგილეები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ მინდობილობის გარეშე, წარმოადგენენ რა საქტყავფეხსაცმელმრეწვის ინტერესებს სხვა საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, ასრულებენ სამეურნეო ოპერაციებს და დებენ ხელშეკრულებებს, აგრეთვე აძლევენ მინდობილობებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს, მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მუშაკებს.

18. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს შენახვის ხარჯების ოდენობა განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით. ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ხარჯები იფარება საწარმოო-სამეურნეო ფუნქციების ცენტრალიზებული განხორციელების შედეგად საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს მიერ მიღებული შემოსავლით, აგრეთვე საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების,

სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ანარიცხებით, რომლებიც მიეკუთვნება პროდუქციის თვითღირებულებას.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს შენახვის ხარჯთაღირებვას ამტკიცებს და ცვლის საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მიერ ამ მიზნისათვის დაწესებულ ასიგნებათა საერთო თანხის ფარგლებში (ხელფასის ფონდის გამოყოფით).

19. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს სტრუქტურასა და სამტატო რიცხოვნობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს სტრუქტურული ქვედანაყოფები და სამსახურები მოქმედებენ საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსის მიერ დამტკიცებული მათი დებულებების შესაბამისად. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს საშტატო განრიგს ამტკიცებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს მუშაკთა თანამდებობრივ სარგოებს აწესებს და ცვლის საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი თანამდებობრივი სარგოების მოქმედი სქემის შესაბამისად და თანამდებობრივი სარგოების სქემის საშუალო სარგოების მიხედვით გამოანგარიშებული საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს ხელფასის ფონდის ფარგლებში.

20. საქტყავფეხსაცმელმრეწვის ინტერესებისა და მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ინტერესების შეხამების, აგრეთვე მთლიანად გაერთიანების სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის ზემოაღნიშნული გაერთიანებების, საწარმოების, ფირმისა და ლაბორატორიის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით საქტყავფეხსაცმელმრეწვაში იქმნება დირექტორთა საბჭო.

21. დირექტორთა საბჭოში შედიან საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი, მისი მოადგილეები, საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გენერალური დირექტორები (დირექტორები), აგრეთვე შესაბამისი პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენელი.

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეა საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი.

დირექტორთა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობისათვის საჭირო შემთხვევებში მიიწვევიან სპეციალისტები და საქტყავფეხსაცმელმრეწვის ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავენი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენელი.

22. დირექტორთა საბჭო განიხილავს:

— მთლიანად საქტყავფეხსაცმელმრეწვის, აგრეთვე მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო

ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმების პროექტებს;

— ანგარიშებს საქტყავფეხსაცმელმრეწვის, მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საწარმო-საფინანსო საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ანგარიშებს უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულების შესახებ;

— ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფის, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, აგრეთვე სტანდარტების დანერგვის საკითხებს;

— ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმების პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახევენ საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმის სპეციალიზაციისა და კოოპერირების, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების უზრუნველყოფას, საქტყავფეხსაცმელმრეწვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას;

— სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის საჭირო რაოდენობისა და ნომენკლატურის (ასორტიმენტის) პროდუქციის გამოშვებისა და მიწოდების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის გამიზნულ ხელშეკრულებათა სისტემისა და სამეურნეო ანგარიშის პრინციპების საფუძველზე მომარაგება-გასაღების ორგანოებთან და სხვა გაერთიანებებთან საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამეურნეო კავშირთაშორის ორგანიზაციის საკითხებს;

— საქტყავფეხსაცმელმრეწვის საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მიერ გამოშვებული პროდუქციის ფასთა ცვლილების გეგმათა პროექტებს შრომის ნაყოფიერების ზრდის, წარმოების დანახარჯების შემცირების, აგრეთვე გამოშვებულ პროდუქციაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილების აუცილებლობის გათვალისწინებით;

— შრომისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის, მართვისა და სამეურნეო ანგარიშის სრულყოფის საკითხებს;

— კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს;

— ეკონომიკური სტიმულირების ფონდების შექმნის ნორმატივების პროექტებს საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მიხედვით და საჭირო შემთხვევებში — საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი სამრეწველო-სავაჭრო ფირმის მიხედვით, ეკონომიკური სტიმულირების ცენტრალიზებული ფონდების, აგრეთვე გაერთიანების სხვა ფონდებისა და რეზერვების გამოყენების საკითხებს;

— ცალკეული საწარმო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების ცენტრალიზაციის, ამ ფუნქციების განხორციელებისათვის საჭირო რესურსების ოდენობისა და წყაროების საკითხებს;

— საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართვე-

ლოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის კოლექტივების სოციალური განვითარების საკითხებს;

— საქტყავფეხსაცმელმრეწვის საქმიანობის სხვა საკითხებს.

23. დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსის ბრძანებებით.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსსა და დირექტორთა საბჭოს შორის უთანხმოების შემთხვევაში საქტყავფეხსაცმელმრეწვის უფროსი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს სამინისტროს. დირექტორთა საბჭოს წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ მოახსენონ თავიანთი აზრი სამინისტროს.

24. საქტყავფეხსაცმელმრეწვის ქონება შედგება მის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიისათვის მიჩენილი ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრებისაგან, ფონდებისა და სხვა ქონებისაგან, აგრეთვე საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოსათვის მიჩენილი ძირითადი საშუალებებისა და საბრუნავი სახსრებისაგან, ფონდების, რეზერვებისა და სხვა ქონებისაგან.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის შემადგენლობაში შემავალი საწარმოო გაერთიანებების, საწარმოების, სამრეწველო-სავაჭრო ფირმისა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიისათვის მიჩენილი ქონება აისახება მათს დამოუკიდებელ ბალანსზე, ხოლო საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოსათვის მიჩენილი ქონება — სამმართველოს დამოუკიდებელ ბალანსზე. აღნიშნული ბალანსები შედის საქტყავფეხსაცმელმრეწვის კრების ბალანსში.

25. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს მიეჩინება შემდეგი ფონდები და რეზერვები:

წარმოების განვითარების ცენტრალიზებული ფონდი;

მატერიალური წახალისების ცენტრალიზებული ფონდი;

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ცენტრალიზებული ფონდი;

ახალი ტექნიკის ათვისების ფონდი;

ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის პრემირების ცენტრალიზებული ფონდი;

გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის ხელშეწყობის ფონდი;

კაპიტალური რემონტისათვის გათვალისწინებული სამორტიზაციო ანარიცხების რეზერვი.

საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს შეუძლია შექმნას ხელფასის ფონდის რეზერვები საქტყავფეხსაცმელმრეწვის ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობისა და სხვა მატერიალური რესურსების საკრედიტო გეგმებით დაწესებული კრედიტების თანხის მიხედვით, აგრეთვე საქართველოს სსრ

მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ნებართვით — სხვა ფონდები და რეზერვები იმ ოდენობით, რომელსაც განსაზღვრავს სამინისტრო მისთვის დაწესებული ფონდებისა და რეზერვების ფარგლებში.

26. მოგების გადასახდელთა ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას ახდენენ საქტყავფეხსაცმელმრეწვის მშენებლობაში შემაჯავალი საწარმოო გაერთიანებები, საწარმოები, სამრეწველო-სავაჭრო ფირმა და საქართველოს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

27. საქტყავფეხსაცმელმრეწვის საქმიანობის შემოწმებასა და რევიზიას ატარებენ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და სხვა ორგანოები მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

28. საქტყავფეხსაცმელმრეწვის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა-გამოყოფა და ლიკვიდაცია ზდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, რაც შეუთანხმდება სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს.

29. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და აღნიშნულია მისი დასახელება.

30. საქტყავფეხსაცმელმრეწვის სამმართველოს ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 16 მარტის № 148 დადგენილებების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავფეხსაცმლის რესპუბლიკური სამრეწველო გაერთიანების (საქტყავფეხსაცმელმრეწვი) შემადგენლობაში შემავალი საწარმოებისა

1. თბილისის ტყავის საწარმოო გაერთიანება, მათ შორის ქრომის ტყავის წარმოება და შულავრის ტყავნედლეულის ქარხანა.
2. თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანი“, მათ შორის ფილიალი დაბა მანგლისში, ფილიალი ქალაქ ახალქალაქში, ფილიალი დაბა წალკაში და ვარკეთილის სამკერვალო საამქრო.
3. ბათუმის ფეხსაცმლის სამრეწველო-სავაჭრო ფირმა.
4. თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ნარიყალა“.
5. თბილისის მოდელური ფეხსაცმლის ფაბრიკა.
6. ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატი.
7. სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატი.
8. თბილისის ტყავგალანტერეის ფაბრიკა.
9. ფეხსაცმლის მოდელების რესპუბლიკური სახლი.
10. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ტყავფეხსაცმლის მრეწველობის დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

21 რესპუბლიკის სახალხო მუშრნოგაზი სამართლებრივი მუშა- ოვის ფდგომაროვისა და მისი გაუმჯოგანევის ღონისძიებათა მეხსახე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, საწარმოები და ორგანიზაციები, ასრულებენ რა სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებს, ახორციელებენ გარკვეულ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის დონის ამაღლებისათვის. მეტმა წილმა იურიდიულმა სამსახურებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს თავიანთი საქმიანობა სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, უფრო აქტიურად ახდენენ გავლენას სამეურნეო-სახელმეკრულებო მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფაზე, შრომის კანონმდებლობის დაცვისა და საგვეგმო დავალებათა შესრულების უზრუნველყოფაზე.

ამასთანავე ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ჯერ კიდევ სათანადო შეფასებას არ აძლევს სამართლებრივი სამსახურის როლსა და მნიშვნელობას, რაც საბოლოო ანგარიშით უარყოფითად მოქმედებს სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვაზე.

იურიდიულ სამსახურს, იურისკონსულტებს ყველგან როდი აბამენ საგვეგმო დავალებათა და სახელმეკრულებო ვალდებულებათა წარმატებით შესრულების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შემუშავებაში.

რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში დამკვიდრდა გაუმართლებელი პრაქტიკა, როცა იურიდიული სამსახურები არასაკმარისად მონაწილეობენ და საერთოდ არ მონაწილეობენ სხვა ქვედანაყოფებთან ერთად იმ მიზეზების გამოვლენისა და აღმოფხვრისათვის მუშაობაში, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცებას. მარტო 1983 წელს სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა-დატაცებით სახელმწიფოსათვის მიყენებულმა ზარალმა 5.725.114 მანეთი შეადგინა. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის, სხვა სამინისტროთა და უწყებათა ბევრ საწარმოსა და ორგანიზაციაში არარაციონალურად იხარჯება ნედლეული და მასალები, არ აღმოფხვრილა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გადახარჯვის, გაფუჭებისა და დატაცების ფაქტები. ასე, მაგალითად, 1982 წელს ამ მიზეზებით გამოწვეულმა ზარალმა სახელმწიფო ვაჭრობაში შეადგინა 813 ათასი მანეთი, სამომხმარებლო კოოპერაციაში — 926 ათასი მანეთი, ხოლო 1983 წელს — შესაბამისად — 876 ათასი მანეთი და 229 ათასი მანეთი.

ჯერ კიდევ საკმარისად არ არის შემოღებული პრაქტიკაში იურიდიული სამსახურების, იურისკონსულტებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუ-

შაკთა ურთიერთმოქმედება სამართლებრივ საკითხებზე, განსაკუთრებით ზარალის ანაზღაურების საკითხებზე.

სახალხო დემუტატა საბჭოების აღმასკომები, აგროსამრეწველო კომპლექსის ადგილობრივი სამეურნეო ორგანიზაციები, აგრეთვე მათი იურიდიული სამსახურები ჯერ კიდევ ყოველთვის როდი ეძიებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის დატაცების, დანაკლისის, გაფუჭების და სოციალისტური საკუთრების სხვა ხელყოფის აღკვეთის ქმედითს ფორმებს. ამის შედეგად ქონებრივი ზარალის საერთო თანხამ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში 1982 წელს შეადგინა 1.435 ათასი მანეთი, საბჭოთა მეურნეობებში — 145 ათასი მანეთი, ხოლო 1983 წელს — შესაბამისად — 195.325 მანეთი და 697.286 მანეთი.

რესპუბლიკის ზოგიერთ სამინისტროსა და უწყებაში (საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო) არ ხორციელდება ჯეროვანი იურიდიული კონტროლი საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების კანონიერებისადმი, რაც ქმნის წამატებათა და ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა ხელშემწყობ პირობებს.

ამიერკავკასიის ტრანსშენის ტრესტის მექანიზაციის სამმართველოს ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მარტო 1983 წლის ერთ თვეში გამოვლინდა 10 ათასი კილომეტრის წამატება, რისთვისაც მძღოლებს უკანონოდ მიეცათ დამატებითი ხელფასი და ჩამოიწერა 3 ათას ლიტრზე მეტი ბენზინი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვისათვის აშკარად არასაკმარისად იყენებენ იურიდიულ სამსახურებს ამიერკავკასიის რკინიგზაზე, სადაც სახალხო-სამეურნეო ტვირთების გადაზიდვის დაუცველობის გამო საბალანსო ზარალმა 1982 წელს შეადგინა 1.975 ათასი მანეთი და 1983 წელს — 1.902 ათასი მანეთი. აღნიშნულ პერიოდში უზედამხედველოდ იყო დატოვებული 900 მატარებელი, ხოლო 8 ათასი დატვირთული ვაგონი რეისში გაიგზავნა დაცვის გარეშე. ჯერ კიდევ ხშირია ვაგონებისა და კონტეინერების გაუმართლებელი მოცდენის ფაქტები. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და დაწესებულებებმა დაუშვეს ვაგონების ზენორმატიული მოცდენის 228.312 შემთხვევა, რისთვისაც ჯარიმის სახით გადაიხადეს 4 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ — 245 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ — 378 ათასი მანეთი, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ — 762 ათასი მანეთი. რესპუბლიკის ზოგიერთმა სამინისტრომ, უწყებამ და ორგანიზაციამ ჯერ კიდევ ვერ მოაგვარა მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის პროცესთა მართვის სისტემური მუშაობა. იურიდიული სამსახურები საკმარისად არ მონაწილეობენ სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებისათვის მუშაობაში.

რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟმა მარტო 1983 წელს განიხილა 23.796 დავა, აქედან 512 — ხელშეკრულებამდელი და 23.284 — ქონებრივი

დავა. ქონებრივი დავის გამო გადახდევინებულია 59 ათასი მანეთი, შათ შორის სანქციების გამოყენებით — 40 ათასი მანეთი. ამავე პერიოდში განხილულია 4.474 საქმე მიწოდების ვადების დარღვევასთან და პროდუქციის უკმარისობისა და დაკავშირებით, რისთვისაც გადახდევინებულია 29 ათასი მანეთი. 1983 წელს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქციის უკმარისობის მოცულობა ვაადიდეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ, რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, ქუთაისის ლითონის ქარხანამ, ქარხანა „ელექტროაპარატმა“, ქარხანა „გაზაპარატმა“, ზუგდიდის ჩაის საწონმა თაბრიკამ და სხვ. 1983 წელს მარტო რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, პროდუქციის უკმარისობისათვის სულ 6 მილიონ მანეთზე მეტი ჯარიმა გადახდევინეს.

საწარმოთა და ორგანიზაციათა არადამაკმაყოფილებელი სამართლებრივი მომსახურების გამო შრომითი ურთიერთობის ბევრი საკითხი შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების უხეში დარღვევით წყდება.

ასე, მაგალითად, რესპუბლიკის სახალხო სასამართლოებმა 1983 წელს სამუშაოზე აღდგენის საკითხთან დაკავშირებული 328 სარჩელიდან დააკმაყოფილეს 162 (42,2 პროცენტი). უკანონო დათხოვნათა ყველაზე მეტი შემთხვევა აღინიშნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს (18 კაცი), საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს (17 კაცი), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (12 კაცი), საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის (18 კაცი), ცეკავშირის (10 კაცი) სისტემებში.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში ირღვევა კანონმდებლობა სამუშაო დროის შესახებ. მთელ რიგ საწარმოთა ხელმძღვანელები ხშირად უშვებენ ზეგანაკვეთურ შრომას კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, ზოგჯერ პროდუქციულ ორგანიზაციებთან შეუთანხმებლად (თბილისის მუღდკამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, საწარმოთა გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“, თბილისის ავეჯის საწარმოთა გაერთიანება „განთიადი“, თბილისის კერამიკული კომბინატი და სხვ.).

საწარმოთა და ორგანიზაციათა ყველა ხელმძღვანელი სწორად როდი აფასებს სამართლებრივი მომსახურების როლს მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფაში. 1983 წელს რესპუბლიკის სახელმწიფო არბიტრაჟმა განიხილა ხარისხის საკითხებთან დაკავშირებული 3.442 საქმე და გადახდევინა 8.995 ათასი მანეთი, მათ შორის სანქციების გამოყენებით — 329 ათასი მანეთი; სახელმწიფო ხარისხის ნიშანი ჩამოერთვა საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ გამოშვებულ 20 სახეობის ნაკეთობებს.

რესპუბლიკის ცალკეული სამინისტროები და უწყებები ჯერ კიდევ სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებენ სამართლებრივი ნორმების გამოყენებას სახალხო-სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, არ ეწევიან სისტემურ მუშაობას სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფისა და საუწყებო ნორმატიული აქტების მოწესრიგებისათვის „საქართველოს სსრ სამეურნეო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს

კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 7 ოქტომბრის № 634 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

ჯერ კიდევ არ არის შექმნილი იურიდიული ქვედანაყოფები საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროში, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროში, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროში. არ აღუდგენიათ წინათ შემცირებული იურისკონსულტების რაოდენობა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში.

სამართლებრივ მუშაობაში აღნიშნულ სერიოზულ ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები არ იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას. არ აბამენ ამ მუშაობაში სამართალდაცვის ორგანოებს, პროფკავშირებს, შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არ ქმნიან სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის ხელშეწყობ პირობებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის ძირეული გაუმჯობესების, იურიდიული სამსახურის განმტკიცების, სახელმწიფო, საგეგმო, სახელშეკრულებო და შრომის დიცპლინის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში სამართლებრივ საშუალებათა უფრო სრულად გამოყენების მიზნით, ამასთან გაითვალისწინონ მათში, კერძოდ:

— სამართლებრივი სამსახურის როლისა და მნიშვნელობის ყოველმხრივი ამოღება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სამეურნეო ურთიერთობაში სოციალისტური კანონიერების დაცვას;

— სამართლებრივ საკითხებზე, განსაკუთრებით ზარალის ანაზღაურების საკითხებზე იურიდიული სამსახურების, იურისკონსულტებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ურთიერთმოქმედების პრაქტიკის გაუმჯობესება; მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის დატაცების, დანაკლისის, გაფუჭების და სოციალისტური საკუთრების სხვა ხელყოფის აღკვეთისათვის მუშაობის ქმედითი ფორმების დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ჯეროვან იურიდიულ კონტროლს საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების კანონიერებისადმი;

— ბრძოლის გააქტიურება დაბალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისა და უყაირათობის ფაქტების, წამატებათა და ანგარიშგების სხვა დამახინჯებათა

წინააღმდეგ, სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის, მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვა-დატაცებისა და გაფუჭების, ავტორანსპორტისა და ვაგონების ზენორმატიული მოცდენის თავიდან აცილები-სათვის, კონტროლის გაძლიერება საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების კანონიერებისადმი;

— მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოზე მიღების, გადაყვანის, შეთავსებით მუშაობის ნებართვის და სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებათა შესაბამისობა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებთან, იმ თანამდებობის პირთათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, რომლებიც უხეშად არღვევენ მოქალაქეთათვის კანონით მინიჭებულ უფლებებს, საქირო შემთხვევებში მათ მიმართ კანონით დადგენილი რეგრესიული სარჩელის წარდენის წესის გამოყენება;

— 1984 წლის ბოლომდე ყველა სამინისტროში, უწყებასა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში იურიდიული სამსახურების შექმნის და საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შტატებში იურისკონსულტთა თანამდებობების შემოღების საკითხის გადაწყვეტა დაწესებული რიცხოვნობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— იურიდიული სამსახურების მუშაკთათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნა, მათი უზრუნველყოფა სათანადო სამართლებრივი ლიტერატურით, კოდექსებით.

2. საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟმა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი სახელმწიფო, საგვეგმო და სახელმეკრულებო დისციპლინის განმტკიცების, სამეურნეო ურთიერთობათა დარგში სამართალდარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით სამართლებრივ საშუალებათა უფრო აქტიურად გამოყენებისა და იურისკონსულტთა პასუხისმგებლობის ამაღლები-სათვის.

3. რჩევა მიეცეთ რესპუბლიკის პროკურატურასა და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს გააძლიერონ შესაბამისად ზედამხედველობა და კონტროლი სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სამეურნეო საქმიანობაში კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვისადმი.

4. რჩევა მიეცეს საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს მიიღოს ზომები საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების ქსელის გაფართოებისათვის.

5. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ სრულყოს სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობისადმი მეთოდური ხელმძღვანელობის ფორმები, ფართოდ განაზოგადოს მოწინავე იურისკონსულტთა მუშაობის დაღებითი გამოცდილება, პერიოდულად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მი-

ნისტრთა საბჭოს ინფორმაცია სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის მდგომარეობის შესახებ, ხოლო საკითხებზე, რომლებიც მთავრობის ვადაწყვეტილებას მოითხოვენ, წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1984 წ. 26 მარტი, № 163

22 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 ნოემბრის № 651 დადგენილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საქართველოს სს რესპუბლიკაში პროექტების დამტკიცებისა და ექსპერტიზის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 იანვრის № 17 დადგენილების მე-10 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების ექსპერტიზის გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 4 ნოემბრის № 651 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-3 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1984 წ. 27 მარტი, № 169

23 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აპრის- ტოს № 526 დადგენილებაში დამატებითა და ცვლილებათა შე- ტანის შესახებ

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მოქალაქეთა პასუხისმგებლობა უბილეთოდ მგზავრობისათვის, ბარგის აუნაზღაურებლად წაღებისათვის და სამგზავრო საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. „საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„— ავტობუსში, ტრამვაიში, ტროლეიბუსში, საქალაქო მიმოსვლის სამარშრუტო ტაქსში უბილეთოდ მგზავრობისათვის ან ბარგის აუნაზღაურებლად წაღებისათვის — 2 მანეთი ერთ მგზავრზე და 2 მანეთი ბარგის თითოეული ადგილისათვის;

— საგარეუბნო მიმოსვლის სამგზავრო ავტოტრანსპორტზე უბილეთოდ მგზავრობისათვის ან ბარგის აუნაზღაურებლად წაღებისათვის — 3 მანეთი ერთ მგზავრზე და 3 მანეთი ბარგის თითოეული ადგილისათვის;

— საქალაქთაშორისო მიმოსვლის სამგზავრო ავტოტრანსპორტზე უბილეთოდ მგზავრობისათვის ან ბარგის აუნაზღაურებლად წაღებისათვის — 5 მანეთი ერთ მგზავრზე და 5 მანეთი ბარგის თითოეული ადგილისათვის.

ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მგზავრს მგზავრობის ან ბარგის წაღების ღირებულების გადახდისაგან“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 23 ივნისის № 418 დადგენილება „საავტომობილო ტრანსპორტით და საქალაქო ელექტროტრანსპორტით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 21 აგვისტოს № 526 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. კარტიველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

24 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილების მე-2 პუნქტის დამატების შესახებ

„მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილების დამატებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 მაისის № 283 დადგენილებით დამტკიცებული მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის დებულების მე-3 პუნქტის შესაბამისად აიკრძალოს მოქალაქეთათვის სარეგისტრაციო მოწმობების მიცემა ყოველგვარი გაზის ქურებისა და ხელსაწყოების დამზადებისა და რემონტის უფლებაზე.

2. „მოქალაქეთა შინამრეწველურ-ხელოსნური რეწვის შეზღუდვის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 1 ივლისის № 476 დადგენილების მე-2 პუნქტს სიტყვების: „ . . . თუნუქისაგან ღუმელების დამზადება“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „ . . . ყოველგვარი გაზის ქურებისა და ხელსაწყოების დამზადება და რემონტი“.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღონ საჭირო ზომები სტანდარტული გაზის სათბობი ხელსაწყოებით მოსახლეობის მომარაგების გასაუმჯობესებლად.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ აღკვეთოს ყოველგვარი არასტანდარტული კუსტარული გაზის ხელსაწყოებით უკანონო ვაჭრობის ფაქტები.

5. საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად არ დაუშვას მოსახლეობის მიერ არასტანდარტული კუსტარული გაზის ხელსაწყოების გამოყენება, მათ შორის გამორთოს ურჩი დამრღვევი გაზის ქსელებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

25 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 28 დეკემბრის № 806 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებებში ცვლილებათა შეტანის შესახებ

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის № 806 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 27 ივლისის № 395 დადგენილება „საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში მიწათსარგებლობის წესის დარღვევასთან და თვითნებურ საბინაო მშენებლობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“, გარდა მე-7 პუნქტისა.
2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 28 ნოემბრის № 608 დადგენილება „ქ. თბილისში თვითნებურად აგებულ საცხოვრებელ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი საბინაო დავთრების გაცემის შესახებ“.
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 4 მარტის № 110 დადგენილება „თვითნებურად აშენებულ სახლებში მოქალაქეთა გასაწერად დროებითი სახლის წიგნების გაცემის შესახებ“.
4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 22 სექტემბრის № 521 დადგენილება „საცხოვრებელი სახლებისა და აგარაკების თვითნებური მშენებლობის შესახებ“, გარდა 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

26 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 დეკემბრის № 862 დადგენილების მე-5 პუნქტში დამატებითა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„საქართველოს სსრ სამინისტროებში, უწყებებსა და მმართველობის სხვა ორგანოებში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 21 დეკემბრის № 862 დადგენილების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა ყოველწლიურად 20 აპრილისათვის მოახსენონ წინა წლის შედეგების მიხედვით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობის, საქვეუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილი საგვეგმო და საფინანსო დისციპლინის ყველაზე სერიოზული დარღვევების და მიღებული ზომების შესახებ.

დაწესდეს, რომ აღნიშნულ მასალებს განაზოგადებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენად კრებისთ ინფორმაციას მოამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის საგვეგმო-საფინანსო ორგანოების განყოფილება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ინფორმაციის წარდგენის ვადა — ყოველი კალენდარული წლის არა უგვიანეს 15 მაისისა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1984 წ. 28 მარტი, № 183

27 „იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილების დანართის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დაშლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს ტერიტორიული სამმართველოს შუამდგომლობა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 26 აპრილის № 242 დადგენილების დანართის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის სიტყვების: „მშურავებსა“

და შემდგომადღებებს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „პროდუქციის შესანახი უზნების უფროსებსა და მათს მოადგილეებს, მტვირთავეებს, სატვირთავი მანქანების მძღოლებსა და საკომპრესორო დანადგარების მემანქანეებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1984 წ. 29 მარტი, № 186

28 საცხოვრებელი სახლების სარდაფებში გოსტნეულის შესანახად საკუპნაოების მოწყობის შესახებ

მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 7 იანვრის № 33-397 და 1983 წლის 25 თებერვლის № 33-3779 დავალებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ:

— საცხოვრებელი სახლების სარდაფებში პროდუქტების შესანახად საკუპნაოების მოწყობა განხორციელდეს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, ხოლო დასავლეთ საქართველოს რაიონებში სარდაფების მოწყობა ტექნიკურად გაუმართლებელია გადიდებული ტენიანობისა და გრუნტის წყლების მაღალი დგომის გამო;

— დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და მუშათა დაბებში მოსახლეობის მიერ პროდუქტების შესანახად სამეურნეო საკუპნაოების მოწყობა გათვალისწინებულ იქნეს სექციური საცხოვრებელი სახლების გაუშენებელ პირველ სართულებზე;

— საკუპნაოს ფართობი ერთ ბინაზე არ უნდა აღემატებოდეს 6 კვადრატულ მეტრს;

— ცალკეული საცხოვრებელი სახლების პროექტების ცვლილებებისა და მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადიდებას, რასაც გამოიწვევს მოწყობილობის დადგმა სამეურნეო სათავსების შენობათა ექსპლუატაციის დროს, არ უნდა მოჰყვეს რესპუბლიკის მიხედვით საქალაქო საბინაო მშენებლობაში 1 კვადრატული მეტრი საერთო ფართობის დამტკიცებული საშუალო ღირებულების გადაშეტება;

— საცხოვრებელი სახლების სარდაფებში პროდუქტების შესანახად საკუპნაოების მოწყობის ნებართვას ვასცემენ სახალხო დეპუტატთა საქალაქო ან რაიონული საბჭოები მოსახლეობის განაცხადების მიხედვით;

— ქალაქებსა და მუშათა დაბებში საცხოვრებელი სახლების სარდაფებში საკუჭნაოების დაპროექტებას, მოწყობასა და აღჭურვას ახორციელებს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო საცალო ფასებში მოსახლეობის სახსრების ხარჯზე;

— სასოფლო დასახლებულ პუნქტებში საცხოვრებელი სახლების მშენებლობისას სამეურნეო სათავსების მოწყობა დასაშვებია „საბინაო მშენებლობის“ დარგით გამოყოფილ სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

2. საქართველოს სსრ სახმშენმა გაითვალისწინოს საკუჭნაოებიანი სარდაფების მოწყობით საცხოვრებელი სახლების პროექტების ვარიანტების შემუშავება 1984 წელს ტიპობრივი პროექტების მოქმედ და შესამუშავებელ სერიებში, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოყოს შესაბამისი ლიმიტები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭარტველიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 9 აპრილი, № 219

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 619 დადგენილებით დამტკიცებულ არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღზრდელის დებულებაში დამატებაში დამატებათა და ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 ოქტომბრის № 619 დადგენილებით დამტკიცებულ არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღზრდელის დებულებაში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მე-2 პუნქტს სიტყვების: „პენსიონერები და სხვა მოქალაქენი, რომლებსაც“ დაემატოს სიტყვები: „თავიანთი საქმიანი და მორალური თვისებებით შესწევთ უნარი შეასრულონ მათთვის დაკისრებული ფუნქციები“; სიტყვები: „მშრომელთა კოლექტივის“ და „მშრომელთა დებუტატების“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით: „შრომითი კოლექტივის“ და „სახალხო დებუტატთა“.

2. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საზოგადოებრივი აღზრდელები დაინიშნებიან იმ არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, გამოსასწორებლად და ხელახლა აღსაზრდელად, რომლებიც:

ა) განთავისუფლებული არიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან;
 ბ) მსჯავრდადებული არიან პირობით ან სასჯელის ისეთი ზომით, რომელიც დაკავშირებული არაა თავისუფლების აღკვეთასთან;

გ) ჩადენილი აქვთ სამართალდარღვევა, მაგრამ განთავისუფლებული არიან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით ან ამნისტიის აქტის შედეგად, აგრეთვე ჩადენილი აქვთ საზოგადოებრივად საშიში მოქმედება იმ ასაკის მიღწევამდე, რომლიდანაც იწყება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა;

დ) დაბრუნებული არიან სპეციალური სასწავლო-აღმზრდელი დანერგვების მიხედვით;

ე) ჩადენილი აქვთ სამართალდარღვევა, რომელიც იწვევს საზოგადოებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომებს;

ვ) იყენებენ სპირტიან სასმელებს, ნარკოტიკულ ან ფსიქოტროპულ ნივთიერებებს;

ზ) სისტემატურად თვითნებურად მიდიან ოჯახიდან 16 წლამდე ასაკში ან თვითნებურად მიდიან სპეციალური სასწავლო-აღმზრდელი დანერგვების მიხედვით;

თ) ბოროტად არიდებენ თავს სწავლას, მუშაობას;

ი) სისტემატურად ეწევიან აზარტულ თამაშს, აგრეთვე სხვა ანტი-საზოგადოებრივ ცხოვრებას.

საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნა არ ათავისუფლებს მშობლებს ან მათს შემცველ პირებს იმ მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან, რაც მათ აკისრიათ არასრულწლოვანის აღზრდისა და მისი ყოფაქცევითისა.

3. მე-7 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვები: „საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა“ შეიცვალოს სიტყვებით: „საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა“.

4. მე-13 პუნქტში სიტყვები: „მშრომელთა დეპუტატების საბჭოს“, „საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახალხო დეპუტატთა საბჭოს“, „საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის“, ხოლო სიტყვების: „ფულადი პრემიით ან ფასიანი საჩუქრით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „დასასვენებელი სახლის, სანატორიუმის შეღავათიანი საგზურებით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე ნ. ჰითანაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველის მოადგილე პ. ხუნწარია.

30 თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების დეპუტატების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების თანდართული დებულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჰითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1984 წ. 29 აპრილი, № 271

დამატკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 29 აპრილის № 271 დადგე-
ნილებით

დ ე ზ უ ლ ე ბ ა

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ-ენერ-
გეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილებისა

I. ზოგადი ნაწილი

1. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ-
ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება იქმნება თბილისის
სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მიერ საქართველოს სსრ კონსტიტუ-
ციის 150-ე მუხლის შესაბამისად.

2. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება:

— კოორდინაციას უწევს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული უწყებე-
ბის, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას ქალაქის სათბობ-ენერგე-
ტიკული კომპლექსის განვითარების, მეორეული რესურსების დამზადებისა და
გადამუშავების, სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების გამოყე-
ნებისათვის, ადგენს მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს გაზით, მყარი სათბო-
ბით, ნავთობპროდუქტებით, მეორეული რესურსებისაგან წარმოებული პრო-
დუქციით, თბური და ელექტრული ენერჯით სახალხო მეურნეობისა და მო-
სახლეობის უზრუნველსაყოფად და კონტროლს უწევს შეთანხმებული და
დამტკიცებული გეგმების შესრულებას;

— შეაქვს წინადადებანი და ახორციელებს ღონისძიებებს სათბობ-ენერგე-
ტიკული და მეორეული რესურსების ეფექტიანად გამოყენების, სათბობ-ენერ-
გეტიკული კომპლექსის და მეორეული რესურსების დამზადებისა და გადამუ-
შავების სიმძლავრეთა რაციონალურად გამოყენებისათვის;

— ადგენს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკო-
მისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების სათბობ-ენერგეტიკული მეურ-
ნეობების, მეორეული რესურსების დამზადებისა და გადამუშავების სიმძლავ-
რეთა განვითარების მიმდინარე და პერსპექტიულ გეგმებს და კონტროლს
უწევს დამტკიცებული გეგმების შესრულებას.

— პასუხისმგებელია საქალაქო მეურნეობის თბოფიკაციის, გაზიფიკაციის,
ელექტრიფიკაციის, სათბობმომარაგების, მეორეული რესურსების დამზადებისა
და გადამუშავების გეგმების შედგენისა და განხორციელებისათვის.

3. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება თა-
ვის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქ-
მედი კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართ-
ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით და დადგენი-
ლებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, თბილისის სახალხო დეპუ-
ტატთა საქალაქო საბჭოს და მისი აღმასკომის გადაწყვეტილებებით და გან-
კარგულებებით, ამ დებულებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

4. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება არის იურიდიული პირი, აქვს ბეჭედი საქართველოს სსრ გერბის გამოსახულებით და თავისი დასახელებით.

II. ძირითადი ამოცანები

5. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების ძირითადი ამოცანებია:

ა) კოორდინაცია გაუწიოს: ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობას ენერგომომარაგების წყაროების შექმნის, აგრეთვე ელექტრიფიკაციის, თბოფიკაციის, გაზიფიკაციის და სათბობმომარაგების შემდგომი განვითარებისათვის;

ბ) კოორდინაცია გაუწიოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა საწარმოს, დაწესებულების და ორგანიზაციის საქმიანობას მეორეული რესურსების შეგროვების, მიღების, შენახვის და გადამუშავებისათვის;

გ) შეადგინოს, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისადმი დაქვემდებარებულ განყოფილებებთან, სამმართველოებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან ერთად, გაზის, ელექტრო და თბოენერგიების, მყარი სათბობის, ნავთობპროდუქტების და მეორეული რესურსების წლიური და პერსპექტიული განაცხადები და განაწილების გეგმები;

დ) შეიმუშაოს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოებში, დაწესებულებებში და ორგანიზაციებში, უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; ენერგეტიკული და მეორეული რესურსების, გაზის, მყარი სათბობის და ნავთობპროდუქტების რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებანი და განახორციელოს კონტროლი მათი განხორციელებისადმი;

ე) განახორციელოს კონტროლი ქალაქის ტერიტორიაზე სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების, მეორეული რესურსების დამზადებისა და გადამუშავების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებითა და მეორეული რესურსებისაგან წარმოებული პროდუქციით სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის უზრუნველყოფისადმი;

ვ) განახორციელოს კონტროლი სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების, მეორეული რესურსების მიღებისა და გადამუშავების სიმძლავრეთა შექმნისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებისადმი.

III. ფუნქციები

6. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება თბილისის სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობის და ქალაქის ტერიტორიაზე მეორეული რესურსების შეგროვების და გადამუშავების სფეროში:

ა) ამზადებს წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს ელექტროენერგიით, თბოენერგიით, გაზით, მყარი სათბობით, ნავთობპროდუქტებით, სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის დასაკმაყოფილებლად, დარგთაშორისი პროპორციების, აგრეთვე ტექნიკური პროგრესის მიმართულებათა ანალიზის საფუძველზე,

ელექტრომომარაგების, გაზმომარაგების, თბომომარაგების, სათბობით და ნავთობპროდუქტებით მომარაგების ბაზების განსავითარებლად;

ბ) ამუშავებს მეორეული რესურსებისაგან ფართო მოხმარების საგნების დამზადების შესაძლებლობათა, ამ საგნებით მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნების დაკმაყოფილების, აგრეთვე დარგთაშორისი პროპორციების და ტექნიკური პროგრესის მიმართულებათა ანალიზის საფუძველზე მეორეული რესურსების დამზადების, შენახვის და გადამამუშავების სიმძლავრეთა განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მეორეული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას;

გ) წარადგენს შესაბამის ორგანოებში დასკვნებსა და წინადადებებს თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ შესაბამის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შემუშავებულ, ქალაქ თბილისში ელექტროენერჯის, თბოენერჯის, მყარი სათბობის, გაზის და ნავთობპროდუქტების წარმოების და მოხმარების წლიური და პერსპექტიული ბალანსების პროექტებზე;

დ) წარადგენს შესაბამის ორგანოებში დასკვნებსა და წინადადებებს თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ შესაბამის სამინისტროთა, უწყებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შემუშავებულ, ქალაქ თბილისში მეორეული რესურსების დამზადების და გადამამუშავების წლიური და პერსპექტიული ბალანსების პროექტებზე;

ე) ახორციელებს კონტროლს სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, მეორეული რესურსების დამამზადებელი და გადამამუშავებელი ორგანიზაციების საქმიანობისადმი, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ელექტრული და თბური ენერჯიებით, გაზით, მყარი სათბობით, ნავთობპროდუქტებით და მეორეული რესურსებისაგან წარმოებული პროდუქციით სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის უზრუნველყოფის საქმიანობისადმი;

ვ) განიხილავს ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების (უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად) მიერ გაზის, მყარი სათბობის, ნავთობპროდუქტების, ელექტრული და თბური ენერჯიების ხარჯვის, მეორეული რესურსების შეგროვების ხედრით ნორმებს, ავლენს ენერგეტიკული სიმძლავრეებისა და მატერიალური რესურსების რეზერვებს და წარადგენს წინადადებებს მათი რაციონალურად გამოყენებისათვის;

ზ) განიხილავს არსებული წესის შესაბამისად, სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, განყოფილებების, გაერთიანებების, სამმართველოების წინადადებებს სახალხო-სამეურნეო გეგმებში (განყოფილების კომპეტენციაში შემავალ საკითხებში) ცვლილებების შეტანის შესახებ, და ამზადებს მათზე დასკვნებს.

7. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება სწავლობს ეკონომიკის და ტექნიკის თანამედროვე მდგომარეობას ელექტრული და თბური ენერჯიების, მყარი სათბობის, გაზის, ნავთობპროდუქტების წარმოებისა და მოხმარების მეორეული რესურსების შეგროვების, გადამამუშავებისა და მოხმარების სფეროებში, შეიმუშავებს შემდგომი ტექნიკური პროგრესის

წინადადებებს, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა და სამამულო და საზღვარგარეთის საწარმოთა მოწინავე გამოცდილების გათვალისწინებით.

8. კაპიტალური მშენებლობის დარგში:

ა) შეიმუშავეს, თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებებთან, გაერთიანებებთან, სამმართველოებთან, დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან, ორგანიზაციებთან და საწარმოებთან ერთად, განყოფილების კომპეტენციაში შემავალ მურნეობათა კაპიტალური მშენებლობის გეგმებს;

ბ) ახორციელებს კონტროლს ობიექტების მშენებლობის მიმდინარეობის, აგრეთვე ელექტრომომარაგების, თბომომარაგების, გაზმომარაგების, სათბობ-მომარაგების, ნავთობპროდუქტებით მომარაგების, მაგისტრალური და გამანაწილებელი გაზის, ელექტრული და თბური ქსელების განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებისადმი;

გ) წარადგენს დასკვნებს დაინტერესებული სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების წინადადებებზე, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ელექტროენერგეტიკის, თბოენერგეტიკის, სათბობის ბაზების, ნავთობპროდუქტებით მომარაგების ბაზების, ქალაქის გაზიფიკაციის, მეორეული რესურსების მიწვები პუნქტების და გადამუშავების სიმძლავრეთა განლაგებისა და განვითარების შესახებ;

დ) მონაწილეობას იღებს ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ახლად ასაშენებელი და რეკონსტრუირებული საწარმოებისათვის სათბობის სახის განსაზღვრაში;

ე) შეიმუშავეს თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის დაავლებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით, განყოფილების კომპეტენციაში შემავალი დარგების განვითარებასთან დაკავშირებულ ცალკეულ პრობლემებს.

9. რესურსებით მომარაგებისა და მეორეული რესურსების შეგროვების სფეროებში:

ა) იღებს და საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიასთან ერთად დაწესებულ ვადებში იხილავს თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებების, გაერთიანებების და სამმართველოების განაცხადებს ელექტროენერჯის, თბოენერჯის, გაზის, ნავთობპროდუქტების, აგრეთვე მყარი სათბობის ფონდების გამოყოფის თაობაზე, ამზადებს მასალებს ამ ფონდების გასანაწილებლად;

ბ) შეიმუშავეს უწყებათაშორისო სამეურნეო-საგეგმო ტერიტორიულ სამმართველოსთან და თბილისის ტერიტორიაზე განლაგებულ შესაბამის უწყებებთან და ორგანიზაციებთან ერთად მეორეული რესურსების შეგროვების დაავლებათა პროექტებს და ამზადებს მათ განაწილებას;

გ) ამზადებს, თბილისის სახალხო დემუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებების, გაერთიანებების, სამმართველოების ანგარიშების საფუძველზე, სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების ხარჯვის და ნაშთების ნაკრებ ანგარიშებს და წინადადებებს მათი უფრო ეფექტიანად გამოსაყენებლად.

IV. უფლებები

10. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს კონტროლი თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებების და მისი აღმასკომის იმ გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების მითითებათა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი, რომლებიც ეხება განყოფილების საქმიანობას;

ბ) შეიტანოს წინადადებები თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც შედის განყოფილების კომპეტენციაში;

გ) შეაოწმოს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქალაქის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობა, მოისმინოს. მათი ხელმძღვანელების მოხსენებები და მიიღოს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

დ) განიხილოს დავა ელექტრული და თბური ენერჯების, გაზის, ნავთობ-პროდუქტების, მყარი სათბობის მიმწოდებელ ორგანიზაციებსა და მომხმარებლებს შორის, თუ იგი არ ექვემდებარება არბიტრაჟსა და სახალხო სასამართლოში განხილვას.

V. სამუშაოთა ორგანიზაცია

11. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილებას სათავეში უდგას გამგე.

ა) სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების გამგეს თანამდებობაზე ამტკიცებს და ათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო;

ბ) თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესიებს შორის აღმასკომი ნიშნავს სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელს და გადააყენებს მოვალეობის შესრულებისაგან, შემდგომში მორიგ სესიაზე დამტკიცებით;

გ) სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების სხვა ხელმძღვანელ თანამშრომლებს ნიშნავს და ათავისუფლებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი მის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ჩამონათვალის შესაბამისად.

12. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების სტრუქტურას და შტატს ამტკიცებს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო.

13. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების გამგე განყოფილების კომპეტენციის ფარგლებში:

ა) ხელმძღვანელობს განყოფილების საქმიანობას და პერსონალურად პასუხისმგებელია დაკისრებული ამოცანების შესრულებაზე;

ბ) უფლება აქვს, გამოსცეს ბრძანებები თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს გადაწყვეტილებების, მისი აღმასკომის გადაწყვეტილებათა

და განკარგულებათა, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და სახელმწიფო მმართველობის ზემდგომი ორგანოების აქტების საფუძველზე და შესასრულებლად;

გ) ამტკიცებს განყოფილების სამუშაო გეგმებს და ადგენს შესაბამის ანგარიშებს;

დ) განაგებს სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილების კრედიტებს და საშუალებებს, დადგენილი ხარჯთაღრიცხვის და ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს განყოფილებაში საშტატო-საფინანსო დისციპლინის, ფულადი საშუალებებისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვას.

ე) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს განყოფილების თანამშრომლებს არსებული წესით (გარდა ხელმძღვანელი თანამშრომლებისა);

ვ) ამტკიცებს განყოფილების სტრუქტურული დანაყოფების დებულებებს და თანამშრომლების თანამდებობრივ ინსტრუქციებს;

ზ) ანაწილებს ვალდებულებებს განყოფილების თანამშრომლებს შორის და კონტროლს უწევს მათ შესრულებას;

თ) წარმოადგენს განყოფილებას ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, დაწესებულებასა და საწარმოში განყოფილების საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

14. თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება თავის საქმიანობას წარმართავს ქალაქ თბილისის სახალხო დებუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების, თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის დაინტერესებული განყოფილებების, გაერთიანებების, სამმართველოების, აგრეთვე სათანადო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობის შესაბამისად.

15. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება უზრუნველყოფს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების დროულ განხილვას, აღწევს მათში დაყენებული საკითხების სწორად გადაწყვეტას.

16. სათბობ-ენერგეტიკული და მეორეული რესურსების განყოფილება ანგარიშს აბარებს თბილისის სახალხო დებუტატთა საქალაქო საბჭოს და მის აღმასკომს, აგრეთვე მშრომელთა კრებებს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში და მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

31 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 7 მარტის № 228 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა ქალაქაკარგულად ჩათვლისა და შეცვლის შესახებ

„სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვისისა და შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 7 მარტის № 228 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში შემდეგი ცვლილებანი:

— „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში კომმუნურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 7 ივნისის № 369 დადგენილების მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 ოქტომბრის № 4115 და 1961 წლის 9 მარტის № 204 დადგენილებებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 9 მარტის № 204 დადგენილებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1057 დადგენილების № 1 დანართის მე-13 ცხრილით“;

— „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს IV სამმართველოს სამედიცინო დაწესებულებათა მუშაკებისათვის თანამდებობრივი განაკვეთების გადიდების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 იანვრის № 18 დადგენილებაში სიტყვები: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1965 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1972 წლის 13 ივლისის № 522 და 1976 წლის 24 დეკემბრის № 1057 დადგენილებებით“.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 7 მარტის № 228 დადგენილებით:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 22 მაისის № 335 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 17 იანვრის № 50 დადგენილების „გონებრივი და ფიზიკური განვითარების მხრივ დეფექტიან პირთა სწავლების, შრომითი მოწყობისა და მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ მე-3 პუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 27 ოქტომბრის № 4115 დადგენილების 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად“ შეიცვალოს სიტყვე-

ბით: „სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1976 წლის 24 დეკემბრის № 1057 დადგენილების № 1 დანართის მე-13 ცხრილის I განყოფის შესაბამისად“;

— ძალადაკარგულად ჩაითვალა:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 2 აგვისტოს № 2914 დადგენილება „ახალი მუშების ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლებისათვის კვალიფიციურ მუშათა და ინსტრუქტორთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 11 აგვისტოს № 904 დადგენილებით;

მე-10 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის № 535 დადგენილებისა „არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი კოლონიების სპეციალურ სკოლებად და სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად გარდაქმნის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 სექტემბრის № 575 დადგენილებით;

მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 10 ოქტომბრის № 808 დადგენილებისა „კულტურის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 19 იანვრის № 29 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. პითანავა**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 29 აპრილის № 279
დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ძალადაკარგული დადგენილებებისა

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 29 ივნისის № 727 დადგენილება „პიონერხელმძღვანელთა მოსამზადებელი და გადამამზადებელი სკოლის აღდგენის შესახებ“.

2. მე-7 პუნქტის მე-4 აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 28 მაისის № 312 დადგენილებისა „ქალაქებში შეგროვილი კვების ნარჩენებით ღორების გასუქების გაფართოების შესახებ“.

3. 1-ლი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 5 ნოემბრის № 776 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის ორგანიზაციათა და საწარმოთა მუშაკების ხელფასის მოწესრიგების შესახებ“.

4. მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 აპრილის № 184 დადგენილებისა „საიუველირო ნაკეთობათა წარმოების გაფართოებისა და ამ ნაკეთობათა ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ“.

5. მე-2 პუნქტი, მე-5 პუნქტის 1-ლი აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 17 ივნისის № 326 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის საკითხები“.

**СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР**

№ 2, 1984 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VII-84 წ. ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆
საბეჭდი თაბაში 4,5. სააღრიცხვო თაბაში 4,5